წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

შაბათი, 16 აპრილი, 1921 წ.

№ 37 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი გზით ძველი მიზნისკენ.

დამარცხებული სამხედრო ფრონტებზე რუსეთის და საერთაშორისო რეაქცია სხვა მხრით უვლის დღეს რევოლიუციის ბაირაღტარს, საბჭოთა სახელმწიფოების ფედერაციას. ის სცდილობს შიგნიდან ააფეთქოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. წარსული დროის სოციალური ძალებით, მათზე დაყრდნობით, მან ვერასფერი გააწყო. ის დღეს მეტი ენერგიით და მუყაითობით განაგრძობს ისარგებლოს ეგრედ წოდებულ „მემარცხენე“, ზომიერი ჯგუფებით: ესერებით და მენშევიკებით, რომელთა მხრებზე ის გამოსულა ხანდახან ერთი საათით „გამარჯვებული“, რომ შემდეგ ხელახლა კიდევ და კიდევ დამარცხებულიყო. ის დღეს ხმამაღლა და გაბედულათ ველარ ლაპარაკობს ძველის უცვლელათ რესტავრაციაზე. მას ენა ებორკება „დამფუძნებელთა“ სალაყბოზე ლაპარაკის ჩამოგდების დროსაც. მშრომელმა მასებმა საკმაო გაკვეთილები მიიღო უკანასკნელი წლების განმავლობაში იმის შესახებ, თუ რას უმზადებს ერთხელ უკვე განთავისუფლებულ ხალხს ამ დაწესებულების აღდგენა და რა სასიკვდილო ლახვარი იქნება მისთვის დამფუძნებელთა პლატფორმაზე „აღდგენილი“ რუსეთი. რევოლიუცია მასწავლებელია, მაგრამ არა ნაკლებ მასწავლებელია რეაქცია და ის გზები, რომლითაც მას სურს თავის „საიდუმლო“ ზრახვათა განხორციელება, ის ჯგუფები თუ მოღვაწეები, რომლებიც ამ მიზნისკენ მიისწრაფვიან. ყოველისფერი ეს საკმაო სიცხადით დაინახა ხალხმა და თავის ზურგზე იგემა მისი გავლენა.

ცხადია რეაქციის მოციქულთათვის ეს გზა მომავალში გამოუსადეგარია. ამიტომ ისინი ცდილობენ სხვა საშუალებების გამონახვას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უკვე ნანახი და წინეთაც რამოდენიმეთ ნაცადი საშუალებების ხმარებას, უფრო მეტი ენერგიით ამ საშუალებებით სარგებლობას. ეს არის ბრძოლა „ლეგალურ“ ნიადაგზე თავის ბუნებრივი თანამშრომლების, ზომიერი სოციალისტების დახმარებით. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ის წერილები, რომლებიც კრონშტადტის ამბოხებასთან დაკავშირებულ ამბების გამო გამოქვეყნდა თეთრგვარდიელების პრესაში, განსაკუთრებით საზღვარ გარეთ.

როგორც მკითხველი ნახავს დღეს ჩვენს გაზეთში, რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერები აყენებენ ამ ჟამად, თუმცა არსებითად რამოდენიმეთ ძველს, მაგრამ ახალ ფორმაში ჩამოყალიბებულ ლოზუნგს: „გაუმარჯოს საბჭოებს, ძირს ბოლშევიკები!“ ამ ლოზუნგს ასაბუთებს თავისებურათ პ. მილიუკოვი „პარიზის ახალ ამბებში“, რომელიც საზღვარ გარეთ გადახიზნულ რეაქციონრების ორგანოთ ითვლება. მათ იციან, რომ საბჭოებს დიდი გავლენა და პრესტიჟი აქვთ არა მარტო რუსეთის ხალხში. მარა მათვე კარგად იციან ისიც, რომ ეს საბჭოები არიან რევოლიუციონური ბრძოლის ორგანოები და, როგორც ასეთები, ისინი სრულიადაც არ დაახლოვებენ თეთრგვარდიელებს მათ მიზნებთან. ამიტომ, რადგან აშკარა კონტრრევოლიუციონერები ამ საბჭოებში ისე ვერ გაძვრებიან, როგორც აქლემი ნემსის ყურში, მილიუკოვების სურვილია გაავსონ ისინი ზომიერი სოციალისტებით, ესერ-მენშევიკებით. ამნაირათ, ესერმენშევიკების უმრავლესობით შემდგარი საბჭოები!—ასეთია ყველა ფერის და ჯურის რეაქციონერების მისწრაფებათა უახლოესი მიზანი. იმ თავის არა საკმაოთ პოლიტიკურათ გამოწვრთვნილ მიმდევრებს, რომლებიც ყველა „მემარცხენეებს“ და „სოციალისტებს“ თავის მტრათ სახავენ, ბ. მილიუკოვი ამშვიდებს და ეუბნება, რომ ესერ-მენშევიკები არ არიან სახიფათო ხალხი. და ამით, რასაკვირველია, მისი ენით ლაპარაკობს თვით ჭეშმარიტება. ასეთი გზით შემდგარ საბჭოებზე აშენებენ მთელ თავის იმედებს შავი ძალები, რადგან იციან, რომ ისინი გაუადვილებენ, მსვლელობას დამფუძნებელი კრებისკენ შემდეგ ცენზიანი პარლამენტისკენ და დაბოლოს რესტავრაციისკენ. მკითხველი ხედავს, რომ მგზავრობის დაწყება უხდება ამ პატიოსან კომპანიას ცოტა შორიდან, მარა მაგიერათ თავის სიღრმეში ატარებენ სრულ იმედს, რომ ამ გზით მაინც მიაღწევენ დაბოლოს თავის საწადელს.

ამნაირათ მენშევიკური „დემოკრატიზმიც“ დაცულია, საბჭოებიც შენარჩუნებული, ძველი რეჟიმიც დაბრუნებული. ასეთია დამარცხებული, მარა ჯერ კიდევ არ განადგურებული კონტ-რევოლიუციის შავი ზრახვები. მათი უკანასკნელი დასაყრდნობი შეიქნა „ლეგალურათ“ მომქმედი ესერები და მენშევიკები, მარა რევოლიუციონური ხალხი ბრძოლაში გამობრძმედილ პროლეტარიატის და მისი პარტიის მეთაურობით კვლავ სადარაჯოზე სდგას და ბოლომდის მიიტანს კომუნისტური რევოლიუციის დროშას ესერ. მენშევიკების განადგურებით, მათი ლეგალობის გაუქმებით

## საბჭოთა რუსეთის პრესა

**ყველა ამხანაგ მუშების ხაყურადღებოდ.**

(რას ურჩევს კონტრ-რევოლიუციონრებს ბ-ნი მილიუკოვი)

ფრიად საინტერესოა და ჭკუის მასწავლებელი იმის თვალყურის დევნა, თუ რას აკეთებენ მუშათა კლასის მტრები. მაშინ ადვილათ გავიგებთ ბევრი იმას, რისი დანახვა ერთი თვალის გადავლებით ძნელია. მუშათა კლასის მტრები, პირველყოვლისა კი მსხვილი იმპერიალისტური ბურჟუაზია პატარა ბალღები კი არ არიან.

სამოქალაქო ომის მსვლელობაში ისინიც იძენენ გამოცდილებას და სწავლობენ. ისინი სრულებითაც არ იმეორებენ ერთსა და იგივეს: იმათ უკვე ისწავლეს **მოქნილი** პოლიტიკის წარმოება, რომელიც მიმართულია მუშათა წინააღმდეგ. მდგომარეობის შეცვლის შემდეგ, იმათაც უნდა შეეცვალათ ბრძოლის წინანდელი ფორმა და ასეც მოიქცნენ.

საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს მილიუკოვის მეთაური „პარიზის ნოვოსტი“-ს № 273-ში. ყოველ თქვენგანმა იცის, რომ მილიუკოვი წარმომადგენელია მსხვილი ბურჟუაზიისა, კადეტების პარტიის ლიდერი, რუს. იმპერიალისტების მოთავე, რევოლიუციის უსასტიკესი მტერი, პროლეტარიატის ძველი მატყუარა. და როგორ ფიქრობთ, რას ლაპარაკობს ის დღეს.

ეხლა მან წამოაყენა ლოზუნგათ: „გაუმარჯოს საბჭოებს, ძირს ბოლშევიკები!“

რას ნიშნავს ეს? სად ნახა ეს სიზმარი? რა დროიდან გახდა იმპერიალისტი მილიუკოვი დამცველი საბჭოთა ხელის უფლებისა? მოუსმინოთ ბ-ნ მილიუკოვის განმარტებებს (სარედაქციო წერილი „ხელის უფლების კანდიდატები“). აი რას სწერს ის ამ წერილში.

„საბჭოები, გარდა ბოლშევიკებისა, შესდგებოდნენ უფრო ზომიერ სოციალისტებისა და „უპარტიოთაგან“ და, ასე თუ ისე ამომრჩეველი დაწესებულებები იყვნენ. „გაუმარჯოს საბჭოებს“—სადღეისო მომენტისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ ხელის-უფლება ბოლშევიკებიდან უნდა გადავიდეს **ზომიერ** სოციალისტებზე, რომელნიც მიიღებენ საბჭოებში ხმის **უმეტესობას**.

ბევრისთვის, რასაკვირველია, ეს უკანასკნელნიც იმავ მირონით არიან აღნიშნულნი, როგორც თვით ბოლშევიკები. იმის გარდა, **რომ ჩვენ არ ვიზიარებთ** ასეთ აზრს, ჩვენ ხელთა გვაქვს სხვა საბუთებიც **პროტესტი არ განვაცხადოთ კრონშტადტის ლოზუნგის წინააღმდეგ**... ვინაიდან ლოზუნგი „საბჭოები ბოლშევიკების **მაგივრად**“ (კურსივი მილიუკოვისაა), რუსეთში, გასაგებია მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხელისუფლება საკმაო ავტორიტეტული იქნება...

მეორე მოსაზრება—ეს ის არის, რომ ლოზუნგი: „საბჭოები!“—**არამც თუ არ უარჰყოფს მეორე ლოზუნგს** „დამფუძნებელ კრებას“, პირიქით საშუალებას იძლევა **სწორედ მიუდგეს** მის განხორციელებას.

ჩვენი დასკვნა ნათქვამიდან ის გახლავთ, რომ არამც თუ მონარქისტებს, არამედ ხელისუფლების დანარჩენ კანდიდატებს, რომელნიც საზღვარგარეთ იმყოფებიან, საჩქარო არა აქვთ რა და არც საჭიროა დაჩქარება“.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ, ბ. მილიუკოვის მეთაურის გრძელი ციტატა, რადგანაც იგი ძლიერ სხარტად გვისურათხატებს გონიერ და მოხერხებულ ტაქტიკას იმპერიალისტურ ბურჟუაზიისას.

ბ. მილიუკოვი ეუბნება მონარქისტებს, შავრაზმელებსაც და კადეტებსაც: ნუ ეჩრებით დროზე ადრე, ნუ ააშკარავებთ დაჩქარებით თქვენ გენერალურ და მემამულურ ფიზიონომიებს, თორემ თქვენ **წააგებთ**. გენერლები რომ **ერთბაშად** თავში მოექცნენ მეამბოხეთ, მაშინ მთელი **მშრომელი ხალხი** ბოლშევიკების **მხარეზე** გადავა. აქ საჭიროა გაიძვერობა.

**რა ნაირად?**

აქ ბ. მილიუკოვი იძლევა საქმიან რეცეპტს. მას კარგად ესმის, რომ საბჭოთა ხელისუფლება **უკომუნისტებოდ** წარმოუდგენელია. ამიტომ იგი ლაპარაკობს საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, მაგრამ კომუნისტებს კი ეწინააღმდეგება. თუ ეს განხორციელდა, მაშინ „ზომიერ სოციალისტთა“ უმრავლესობა, მენშევიკები და ესერები (რომელნიც სრულიადაც არ არიან ისეთნი, როგორც ბოლშევიკები—ამას ბ. მილიუკოვი მშვენივრადა ხედავს თურმე) მოიწვევენ საბჭოთა გადაწყვეტილებით დამფუძნებელ კრებას—და იქ უფრო თამამად შეიძლება მოქმედება. მაშინ და მხოლოდ მაშინ დადგება დრო მემამულისა და კაპიტალისტისა.

როგორც მკითხველი დაინახავს მილიუკოვს, მშვენივრად ესმის საქმის შინაარსი. მას ისე ესმის, რომ საკმარისია ხელისუფლება გადაწეულ იქმნეს გვერდზე ერთ მტკიცე ძალისაგან, კომუნისტებისაგან, რომელთა ხელშია საბჭოთა მთავრობა, რომ ყოველი დანარჩენი საქმე უამისოდაც თავისთავად მოეწყოს: ამბები ერთი საფეხურიდან მეორეზე დაქანდებიან დამფუძნებელ კრებიდან მემამულისაკენ და საქმეც გაკეთდება.

აი, სახელდობრ, ამიტომაც იხარა სულმა მისმა მილიუკოვისმან, ოდეს სცნა ამბები კრონშტადტის შესახებ. ყველაფერი, რაც კი მიზანში ამოიღებს კომუნისტებს, რაც შემუსრავს შრომის ხელისუფლებას, ესმის ყოველ ბანკირს, და ეს ასე მშვენივრად გამოსთქვა პ. ნ. მილიუკოვმა.

ჩვენ ქვეშ გვიწყობენ ეშმაკურად ნაღმებს. მაგრამ მუშათა კლასმა დროზე შენიშნა საფრთხე: აფეთქდებიან ჰაერში არა მუშები, არამედ თეთრ გვარდიელთა არამზადები, რომელნიც ძველი მთავრობისაკენ ილტვიან.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**მოხსენება პოლიტიკურ განათლების შესახებ.**

**ამხ. პრეობრაჟენსკი.** (გაგრძელება)

ეხლა მე გადავალ პარტიის ახალ წევრთა აღზრდის საკითხზე, რომელიც, ამხანაგებო, ერთ უდიადეს საქმეს წარმოადგენს. ჩვენ სუყველამ კარგათ ვიცით, რომ კომუნისტური აღზრდის საკითხი ჩვენს პარტიაში ძლიერ დაშორებულია იმ მიზნებს, რომლებსაც გვიყენებს ჩვენ პროლეტარული აღმშენებლობა. ჩვენ, მხოლოდ უკანასკნელ ხანს, დავიწყეთ კომუნიზმის გავრცელება მასსებში, მოწყობა საბჭოთა და პარტიულ სკოლებისა და ეს მუშაობა კი ჯერ კიდევ ძალიან უმნიშვნელოა. ამ საქმეს ჩვენ სისტემა უნდა მივცეთ. დღემდის საქმე ასე გვქონდა დაყენებული, რომ თუ საგუბერნიო კომიტეტში მოგვეპოვებოდა ხალხი, რომელიც ამ საქმეზე მუშაობდა, მაშინ კარგათ მიდიოდა სათანადო წრეების მუშაობა და სხვ. და თუ ამნაირი ხალხი არ მოგვეპოვებოდა, მაშინ ამა თუ იმ საგუბერნიო ქალაქში მუშაობა არ სწარმოებდა. ამ გარემოების დროთა თავი დავახწიოთ და გადავიდეთ წესიერ საგიტაციო საპროპაგანდო გეგმებზე. ამ მხრით, პირველად, მას აქეთ, რაც ჩვენი პარტია არსებობს, გვიხდება და გვმართებს შევადგინოთ საგიტაციო-საპროპაგანდო განსაზღვრული გეგმა, გამოვარკვიოთ გეგმა, გამოვარკვიოთ თუ რამდენი პარტიული სკოლა უნდა გავხსნათ, ძალების რა რიცხვი უნდა ვიყოლიოთ მათ სახელმძღვანელოდ, რა რიცხვი წევრებისა უნდა გავიყვანოთ პარტიაში, რა დროს და რანაირი ნაყოფი უნდა მივიღოთ ამ მუშაობიდან წლის განამვლობაში. და ამიტომ წინადადებას გაძლევთ შევიმუშავოთ ესეთი გეგმა დავავალოთ ცენტრალურ გუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს, მთელი ჩვენი პარტიას განახორციელონ ეს გეგმა წლის განმავლობაში, დღიდან ამ ყრილობისა მეორე ყრილობამდე. ეს გეგმა მე დასურათებული მაქვს ჩემს თეზისებში.

ეხლა ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაობის ერთ მხარეს, სახელდობრ სასკოლო მუშაკთა კადრის აღზრდას, რომ მათ უზრუნველყონ ნამდვილი კომუნისტური აღზრდის საქმე პირველ დაწყებით სკოლებში. ამ საქმეს კი ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი, და ეს მაშინ, როდესაც ამ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უნდა გავაძლიეროთ ჩვენი კომუნისტური განათლება, გავრეკოთ კათედრებიდან პროფესორები, რომლებიც პოლიტიკურ ეკონომიაში ატარებენ ჟელეზნოვის და ტუგან-ბარანოვსკის პრინციპებს, ისტორიაში—მილიუკოვის აზრებს. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის მასწავლებელს, რომლის ხელშიც ბევრი ფრიად საყურადღებო რამ არის, უნდა ვისარგებლოთ იმ დემოკრატიულ განწყობილებით, რომელიც გამეფებულია ჩვენ მასწავლებელთა შორის. მთელი რიგ კურსების მოწყობის და სხვა გზის საშუალებით ზედგავლენა მოვახდინოთ მათზე, უნდა შევკრიფოთ იგინი როგორც კომუნიზმის თანამგრძნობნი და მათი შემწეობით ვაწარმოოთ სათანადო მუშაობა.

მე კიდევ მინდა ერთი ორი სიტყვა ვსთქვა ახალგაზრდათა კავშირზე. ადგილებზე ჩვენ ძალიან ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ახალგაზრდათა კავშირს. იგი წარმოადგენს ჩვენი პარტიის სათადარიგო ნაწილს. ეს სიტყვა ჩვენ ბევრჯელ წარმოგვითქვამს, საჭირო დასკვნას კი არ ვაკეთებთ აქედგან და საზოგადოდ, საგანგებო ყურადღებას არ ვუთმობთ ახალგაზრდათა კავშირებს. საჭიროა ხელმძღვანელობა გაუწიოთ მათ, უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ იმას, რომ ამ კავშირთა შიგნით გავანაწილოთ მათი ძალები, ისეთ ნაირად მოვაწყოთ ისინი, რომ გადავაქციოთ სააგიტაციო-საპროპაგანდო ორგანოებათ. უმთავრესი ნაკლი ჩვენი კომუნისტურ ახალგაზრდობისა გამოიხატება იმაში, რომ მათ უყვართ ხოლმე დაემსგავსონ ხნით უფროსებს, რომ ისინი ცდილობენ უფრო ადრე, ვიდრე მათ შეეფერებათ, დაიკავონ განსაზღვრული პოსტები საბჭოთა დაწესებულებებში და მით ერთის მხრივ, ამ ხეტიალის დროს, აკლებენ კავშირებს საჭირო ძალებს, მეორეს მხრივ კი, ახალგაზრდათა კავშირში ყოფნის დროს აქცევენ მთავარ ყურადღებას ყოველგვარ წარმომადგენლობას და ნაკლებ ყურადღებას—უშუალო მუშაობას დანარჩენ წევრთა შორის. ის კრიზისი პარტიაში, რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ, ეს კრიზისი ახალგაზრდათა კავშირშიც იყო და არის დღესაც. იქ ზედა ნაწილები მოწყვეტილნი არიან ქვედა ნაწილებზე, ე. ი. კავშირის ქვედა ნაწილებს ზედა ნაწილები საკმაოდ ვერ უწევენ სამსახურს და ამ მხრივ ჩვენ უნდა გავლენა ვიქონიოთ ახალგაზრდათა კავშირებზე იმ სახით, რომ მათ დაისახონ მიზნად: თვითეული პასუხისმგებელი მუშაკი უპირველეს ყოვლისა წარმოადგენდეს პროპაგანდისტს კავშირის დანარჩენ წევრთა შორის, იაჩეიკებში, ფაბრიკა-ქარხნებში. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას წარმომადგენლობა საბჭოთა სათანადო დაწესებულებებში. ჩვენში კი, ხშირად ეს უკუღმა სწარმოებს. საგუბერნიო კომიტეტებს უნდა საგანგებოდ ეთხოვოს, ყური მიაქციოს ამ მუშაობას, რომელიც გადავიწყებული გვაქვს. ამ მხრივ, ახალგაზრდათა კავშირი ან აპეკის ქვეშ იმყოფება იმ ზომით რომელიც საჭირო არ არის, ანდა, პირიქით, სრულიად უყურადღებოდ არის დარჩენილი საგუბერნიო კომიტეტების მხრივ და არავითარ ხელმძღვანელობით არ სარგებლობს. ამ უკანასკნელ დროს, თქვენ, ეჭვ გარეშეა, უსათუოდ შენიშნავდით რომ ემჩნევა დაშორება ჩვენს პარტიას ამხანაგების, რომელთაც არა აქვთ საკმაო კომუნისტური აღზრდა ძველი კომუნისტებისაგან რომელთაც აქვთ ეს მარქსისტული მომზადება დიდი ხნიდან. ნორმალური მდგომარეობის გამოსწორება შეგვეძლება თუ რომსა სწრაფო მარქსისტულ აღზრდა ვაწარმოებთ არა მარტო სკოლებში, არამედ სხვა საშუალებებით და ლონისძიებითაც. და ახალ გაზრდათა კავშირმა უნდა შეასრულოს დიადი როლი ამ მხრივ. ჩვენ ვამჩნევთ, რომ ახალგაზრდათა კავშირში იმყოფება განსაზღვრული ჯგუფი ისეთ მუშაკებისა

ნიათ საგანგებო თეორეტიული ცოდნანი. მათ საკმაო მოთმინება არ შესწევთ რომ გადაიკითხონ „კაპიტალი“ ან სხვა საფუძვლიანი რამე: თავის თავს უამისოდაც უკვე მომწიფებულად სცნობენ. ჩვენ უნდა წამოვაყენოთ შემდეგი ლოზუნგი: „ახალგაზრდობის სერიოზული თეორეტიული აღზრდა და წაქეზება ამ გზისკენ“.

(სიტყვის დასასრული ხვალ)

## საბჭოთა საქართველოში

**ფილ. მახარაძის მოგზაურობა ქუთაისი.**

(ტელეგრ. საკუთარ კორესპონდენტ.)

დღეს, 12 აპრილს, გზათა უფროსი ინჟ. ა. კაციტაძის და სახალხო მეურნეობის საბჭოს წევრის ინჟ. ს. მამაჯანოვის თანადასწრებით შესდგა თათბირი სახალხო მეურნეობის საბჭოს ქუთაისის გუბერნიის განყოფილების, გაირჩა პროექტი ქუთაისიდან ხონში რკინის გზის გაყვანის შესახებ. თათბირმა გაითვალისწინა რა განსაკუთრებული მნიშვნელობა წყალტუბოს აბანოების, აგრეთვე მიიღო რა მხედველობაში ის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც ექნება რკინის გზის გაყვანას საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობის გასაჩაღებლათ, დაადგინა, დაუყონებლივ განახლდეს რკინის გზის კეთება ხონის მიმართულებით რაც უნდა სწარმოებდეს სამხედრო წესების სისწრაფით. მათ ყოველგვარ დახმარების აღმოჩენა აღუთქვა მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ. მუშაობა დაიწყება ერთი კვირის განმავლობაში. ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ დააინტერესონ და ფართო მონაწილეობა მიაღებინონ გზის კეთებაში ადგილობრივ მცხოვრებთ. ეს მუშაობა უნდადამთავრდეს ორი თვის განმავლობაში. გარდა ამისა გადაწყდა აგრეთვე ზუგდიდის რკინის გზის დამთავრება, რასაც კიდევ მეტი მნიშვნელობა ექნება.

ქუთაისი. დღეს, 12 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზე, ამხ. მახარაძემ მიიღო დიდი პარადი წითელი ჯარის, რომელიც გარს ერტყა ქუთაისის ბულვარს. პარადი ჩატარდა დიდძალი მშრომელი ხალხის თანადასწრებით, რომელიც ამხ. ფილიპეს ხვდებოდა მუსიკით, ტაშის გრიალით. და „გაუმარჯოს“ ძახილით. ქუჩაში მრავლათ გამოსულ წითელ დროშებით ხელში, მწყობრად მომავალი ურიცხვი ხალხი ქალაქ ქუთაისს აძლევდა ნამდვილ ჯერ არ ნახულ პირველ დღესასწაულის სახეს. საღამოს ცირკში გაიმართა პარტიისა და პროფკავშირების წევრთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგი გახსნა ამხ. შამშე ლეჟავამ პირველათ გამოვიდა ქუთაისის რევკომის და პარტკომის სახელით ამხ. ვ. ბახტაძე, ის მიესალმა ამხ. ფილიპეს და გრძნობით სავსე სიტყვებით წარმოუდგინა იგი მიტინგს, როგორც მრავალი წლების ბრძოლებში გამობრძმედილი ლიდერი. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. საშა გეგეჭკორმა, პაშკოვსკიმ. მათ უპასუხა ამხ. ფილიპემ, რომელმაც აღნიშნა თავისი დაკისრებული მოვალეობის სიმძიმე და ის პასუხისმგებლობა, რომელსაც ამ დაკისრებულ მოვალეობასთან ერთათ იგი ატარებს. ამხ. ფილიპეს შემდეგ გამოვიდნენ ამხ. ლომჯანიძე, ვაშაძე, პეტროვსი და ალ. ერქომაიშვილი, უკანასკნელის მდაბიო, მჭერმეტყველურმა შინაარსიანმა სიტყვამ უსაზღვრო აღტაცება გამოიწვია ხალხში, რაც იხატებოდა ხშირათ სიტყვის შემწყვეტ ტაშის ცემაში. მიტინგის დასასრულ სიტყვა მოითხოვა მენშევიკური პარტიის წარმომადგენელმა ბ. გოგიტა ფაღავამ, მიტინგის თავმჯდომარემ მას, რა თქმა უნდა, ნება მისცა სიტყვის თქმის, მაგრამ მისი ტრიბუნაზე გამოსვლა და ხალხის დაძახილი: „ძირს, მოგვაშორეთ თავიდან“, ამასთან ერთად დემონსტრატიული ფეხების იატაკზე ბრახუნი ერთი იყო. მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. საშა გეგეჭკორმა და წითელ არმიელთა წარმომადგენელმა, რევკომის წევრმა ამხ. ადიმოვსკიმ ხალხს განსაკუთრებულ თხოვნით მიმართეს დამშვიდებულიყვნენ, მიეცათ მისთვის ლაპარაკის ნება, მაინც არაფერი. ხალხის აღშფოთება მენშევიკებისადმი ისე დიდი იყო, რომ მან ვერ შესძლო 2 სიტყვის თქმაც. ჩამოშორდა ტრიბუნას და

# დღეს ნომერში:

**რუსეთიდან საქართველოსთვის გამოგზავნილია 27 ვაგონი მანუფაქტურა და სხვა საქონელი.**

**რუსეთის საბჭოთა მთავრობამ სომხეთის დასახმარებლად გადასდო მილიონ-ნახევარი მან. ოქროთი.**

**საბერძნეთში ძლიერდება კომუნისტური მოძრაობა.**

**ნორვეგიაში ხასტიკად გამწვავდა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის დამოკიდებულება. მწარმოებლებმა ლოკაუტი გამოაცხადეს და 40.000 მუშა ქუჩაში გამოყარეს.**

სიმღერით და ამხ. ფილიპესადმი მიმართულ „გაუმარჯოს“ ძახილით დაიშალა.

**ბათომი.**

(ტელეგრ. საკუთ. კორესპონდენტისაგან)

დღეს, 13 აპრილს, საღამოთი შესდგა პასუხისმგებელ კომუნისტთა და საოლქო კომიტეტის წევრთა კრება, სადაც ამხ. მახარაძემ გააკეთა სრული, ყოველმხრივ გაშუქებული მოხსენება შემდეგ თემაზე: საბჭოთა საქართველოს პოლიტიკა და კომუნისტური პარტიის მოვალეობანი. დღეს, 14 აპრილს დილის 12 საათ. ამხ. ფილიპე მახარაძემ მიიღო რუს და ქართველ წითელ ჯართა პარადი. პარადში მონაწილეობას ღებულობდა ქალაქის მცხოვრები აუარებელი მშრომელი ხალხი. ამხ. ფილიპემ წარმოსთქვა ჯარის და ხალხის მისასალმებელი მეტად გრძნობიარე სიტყვა. ილაპარაკეს შემდეგ ამხ. სერიოჟა ქავთარაძემ, ალ. ერქომაიშვილმა, ორატორმა მუსულმანებისგან და რუსეთის წითელ ჯართა წარმომადგენელმა. ამხ. ფილიპეს გამოჩენა იწვევდა ხალხში „ურას“ და „გაუმარჯოს“ ძახილს და მქუხარე ოვაციებს.

**საბჭოთა საქართველოს შეერთების პროექტი იტალიის, ინგლისის და ევროპის ჩრდილოეთ ნავთსადგურებთან.**

ბათომი, 12 აპრილი (ტელეგრაფით). იტალიელ საზოგადოებათა მსხვილმა სინდიკატმა „სერვაცი მარიტიმი“ თავის ბათომელ წარმომადგენლის გაესკის პირით წარუდგინა რევკომს და გარეშე ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დიდი მნიშვნელოვანი პროექტი საბჭოთა საქართველოს შეერთებისა იტალიის, ინგლისის და ევროპის ჩრდილოეთ ნავთსადგურებთან. სინდიკატი წინადადებას იძლევა, რომ ახლო ხანში მოაწყობს ხელსაყრელ პირობებში სამ ვადიან რეისს. პირველი—ფოთი (ბათომი)-ინგლისი (ბელგია) გერმანია; მეორე—ბათომი ისპანია; მესამე—ბათომი-ოდესა, საქართველოს ნავთსადგურებში გავლით და აგრეთვე შეივლის ნოვოროსიისკსა და ყირიმში. ამ რეისების გარდა საზოგადოება წინადადებას იძლევა მოაწყოს სამგზავრო გემების გაგზავნა ბათომ-ოდესასა, ბათომ-იტალიის შორის. ხელშეკრულების ვადა 5 წელია.

**საქონელი საქართველოსთვის.**

განმანათლებელმა საზოგადოებამ იყიდა ბათომსა და ფოთში ერთ მილიარდზე მეტი ღირებულების საქონელი.

**საქართველოში მოდის.**

(ტელეგრაფით). 12 აპრილი. ამ ჟამად საქართველოსკენ მოდის 3 გემი იტალიის საზოგადოების „სერვაცი მარიტიმი“, „ჩირჩე“, „სიკანია“ და „პალერმო“.

# საქ. ს. ს. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი

ამით აუწყებს სხვა და სხვა უცხოელ ფირმათა წარმომადგენელთ, რომელთაც აქვთ საქონელი და სურთ მათი რეალიზაცია საქართველოში, რომ მიმდინარე წლის 15 აპრილიდან, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, განაახლებს მიღებას უცხოელ ფირმების განცხადებებისას, შესახებ ყოველ გვარ საქონლის შესყიდვისა და რეალიზაციისას, რომელი საქონელიც კი ამ ფირმათა განკარგულებაში იმყოფება, ამასთან საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი გარანტიას აძლევს ამ ფირმებს, რომ მათ შეუძლიათ საქონლის გაზიდვა რესპუბლიკის საზღვრებს გარედაც იმ შემთხვევაში, თუ მათ ვერ მოახერხეს რაიმე მიზეზით ამ საქონლის რეალიზაცია აქ, ადგილობრივ. გარდა ამისა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თანახმად საბჭოთა საქართველოს მთავრობის დეკლარაციისა, გარანტიას იძლევა, **როგორც დატვირთულ, ისე უტვირთო უცხოელ გემების თავისუფალ და დაუბრკოლებლივ შემოსვლისას საქართველოს ყველა ნავთსადგურებში**, და აგრეთვე ხელშეუხებლობას მოტანილ საქონლისას საქართველოში ან მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში სარეალიზაციოდ. თუ საჭიროება მოითხოვს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს ნავთსადგურებში მოსულ გემებს მიაწვდის **სათბობ მასალის საჭირო რაოდენობას**.

# საბჭოთა რუსეთში.

**მოსკოვის საბჭოს პლენუმი.**

**მოსკოვი**, 13 აპრილი (რადიო) აპრილის 12 მოსკოვის საბჭოს პლენუმის სხდომა მოხდა. განხილული იქმნა ორი დიდი საკითხი: უპარტიო მუშების ჩაბმა აქტიურ შემოქმედებითი მუშაობაში საბჭოთა ორგანოებში და მოსკოვის საბჭოს ახალი არჩევნები. პლენუმმა დაადგინა—დაამტკიცოს სია ფაბრიკა ქარხნებში არჩეულ მუშებისა მოსკოვის საბჭოს გაიყოფილებებში სამუშაოდ. საბჭოს ახალი არჩევნები აპრილის 15—25-დე მოხდება. პლენუმმა დაამტკიცა ინსტრუქცია არჩევნების წარმოებისა. იქვე მოსმენილ იქმნა ამხ. ბრანდებურგის მოხსენება სასურსათო გადასახადისა და უკანასკნელ ღონისძიებათა შესახებ. ბინის საკითხის თაობაზე პლენუმმა შემდეგი დადგენილებანი მიიღო: დაათვალიეროს განცალკევებულად საცხოვრებელი ბინები და ჩაასახლონ საბჭოთა და პარტიის დაწესებულებანი. პლენუმმა მორიგ საკითხად მიიჩნია მუშების გადაყვანა სარდაფის ბინებიდან, რომელიც 6000 მდეა და გადასწყვიტა მათ გადაყვანა კარგს შენობებში ფაბრიკა ქარხნების მახლობლად. არა მუშათა ელემენტების გადასახლება მიზან-შეწონილად მიიჩნიეს, მაგრამ საჭიროდ დაინახეს ზოგიერთი ჯგუფების გამოყოფა, რომელიც არ უნდა გადასახლდნენ. სახელმწიფო აღმშენებლობით კომიტეტს მიეცა წინადადება დააჩქაროს დაცარიელებულ შენობების შეკეთება. პლენუმმა აირჩია ხუთი კაცისგან შემდგარი საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა გადასახლების საკითხის დაწვრილებით შესწავლა.

**საბჭოს ხელახლად არჩევა**

**მოსკოვი.** 12 აპრ. (რადიო). მოსკოვის მ. კ. პ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზედ გადასწყდა საბჭო ხელახლად იყოს არჩეული. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დამტკიცებულ იქნას ხელახლად არჩევნების შესახებ ინსტრუქცია და დაარსდეს საარჩევნო კომისია.

იმ დროს, როდესაც თეთრგვარდიელები ყოველ გზაჯვარედინზედ გაჰკივიან იმაზედ, რომ საბჭოთა ხელისუფლება და მმართველი კომუნისტური პარტია ვითომდა არ ენდობა მუშებს, სატახტო ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უცხადებს მშრომელთ უდიდეს ნდობას,—აძლევს რა მუშებს წინადადებას— მოახდინონ საბჭოს ხელახალი არჩევნები ყველაზედ უდრეს დემოკრატიულ კონსტიტუციის საფუძველზედ. სატახტო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ღრმათ არის დარწმუნებული, რომ მუშათა კლასი გააუმჯობესებს თავის საბჭოებს ამ სამ წელიწად ნახევარში გამობრძმედის საშუალებით— აირჩევს საბჭოში მუშათა საქმისთვის თავდადებულ მტკიცე მებრძოლ კომუნისტებს და მოწინავე უპარტიო ამხანაგებს.

**მოსკოვი.** 14 აპრილი (რადიო). მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ შრომისა და თავდაცვის საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომ გეგმები მუშების მომარაგების შესახებ ტანსაცმელითა და მოსახმარებელ საგნებით უნდა შედგენილ იქნან სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს მიერ სასურსათო სახალხო კომისარიატთან ერთად. ყველა საგნებს, რომელთაც [?]თომობენ სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს თანხმობით მუშების მოსამარაგებლათ, ანაწილებენ სასურსათო სახალხო კომისარიატის ორგანოები იმ გეგმების მიხედვით, რომელთაც ამტკიცებს სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭო. ხსენებულ საგნების მიცემა ამ წესს გარეშე აკრძალულია. აკრძალული აქვს აგრეთვე ტანისამოსის განყოფილების გამგეს მიიღოს შეკვეთა ტანისამოსზე მუშებისთვის სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს ნებადაურთველათ, რომელსაც ენიჭება უფლება თვალი ადევნოს მთელ რესპუბლიკაში ტანისამოსისა და ფეხსაცმელების კერვის საერთო გეგმის ასრულებას.

**ბურჟუაზიის ქონება მუშებისთვის**

**მოსკოვი.** 14 მარტი. (რადიო). მოსკოვის საბჭოსთან მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არსებულმა კომისიამ წინადადება მისცა სოკოლნიკის საბჭოს გადასცეს ყოფილ მოქალაქე იგნატიევების ქონება სექციას სარაიონო საწყობისა და დასასვენებელ სახლებისთვის გასანაწილებლათ.

**საქონელი მეგობარ ერისთვის.**

**როსტოვი** 8 აპრილი. (რადიო). საქართველოში გაიგზავნა 27 ვაგონი მანუფაქტურა, ელექტრონის მოწყობილებანი და სხვ. საქონელი.

**მახნოველები მთლად განადგურდნენ.**

**მოსკოვი.** 14 აპრ. (რადიო). ხარკოვის ქალაქის საბჭოს სხდომაზე ამხ კონმა განაცხადა მიღებული ოფიციალური ცნობები მახნოს მძიმედ დაჭრის შესახებ, რომ შტაბი მთლად ტყვედ ჩავარდნილა თავის დოკუმენტებით და მიწერ-მოწერით, ლაშქარი მთლად განადგურებულია და გაფანტული. დაიჭირეს მახნოს ბრძანება, სადაც ის თავის ლაშქარს აცხადებს დაშლილად საბჭოთა ჯარების დევნისა და გლეხებისაგან დაუხმარებლობის გამო.

**ფულის გაცემა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისთვის.**

**მოსკოვი.** 13 აპრილი. (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის 1921 წლის ხარჯთ აღრიცხვის ანგარიშში თესვის კომპანიის ხარჯების თვის 11.162,500,000 მან.

**რკინეულობა სოფლისთვის.**

**მოსკოვი.** 13 აპრილი. (რადიო). სამ აპრილამდე პეტროგრადიდან განზრახულ 23,000 ფუთის მაგივრათ, გაგზავნილია მაზრებში 20.000 ფუთი რკინეულობა. გადაწყვეტილია გლეხობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ გაიგზავნოს სოფლათ სულ 50.000 ფუთი რკინეულობა.

**დახმარება საბჭოთა სომხეთს**

**მოსკოვი.** 13 აპრ. (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ დამხარება აღმოუჩინა სომხეთს მილიონ ნახევარ ოქროთი.

**საბჭოთა აპარატი.**

**მოსკოვი.** 4 აპრილი. რუსეთის კომუნისტურ პარტიის მოსკოვის კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე, სარაიონო კომიტეტების საორგანიზაციო საინსტრუქტურო განყოფილებათა მდივნებთან და გამგეებთან ერთად დაწვრილებით და ყოველ მხრივ გარჩეულ იქმნა საკითხი იმის შესახებ, რომ მუშათა ფართო მასსებს მონაწილეობა მიაღებინონ საბჭოთა აღმშენებლობაში. დაადგინეს საპასუხისმგებლო და გუბერნიის საბჭოთა ორგანოებში მოიწვიონ უფრო შეგნებული და გამოცდილი მუშა-კაცები და მუშა-ქალები. სხდომის დროს აღნიშნული იყო, რომ ეს ზომა. მიმართული იმისკენ, რომ საბჭოთა აპარატში რაც შეიძლება მეტი მუშა დაინიშნოს—იგი წარმოადგენს ყველაზე სწორი ღონისძიებას მუშათა ფართო მასსების დასაახლოვებლათ საბჭოებთან, ამ ღონისძიების საჩქაროთ ტეხნიკურათ განსახორციელებლათ აირჩიეს კომისია და შეიმუშავეს სპეციალური ინსტრუქცია.

**კრონშტადტელთა დაკითხვა**

**პეტროგრადი.** 2 აპრ. რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტი დაესწრო ტყვე კრონშტადტელ მეზღვაურთა დაკითხვას. საერთოთ მეზღვაურთა ჩვენება მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. მომეტებულ ნაწილათ ეს ახალგაზრდობაა, რომელიც ფლოტში შესულა მე-18 და მე 19 წლებში. ძველ მეზღვაურთა ჩვენებიდან სჩანს რომ მათ ვერ გაითვალისწინეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის შედეგები. მაგრამ მერმე, როცა შეიგნეს აჯანყების საშინელი მავნებლობა, ისინი ეცადნენ თვალი აეხილათ და აეხსნათ ახალგაზრდა ამხანაგებისთვის მთელი დამღუპველობა ბრძოლისა წითელ ლაშქრისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ აგიტაციამ მნიშვნელობა იქონია აჯანყებულთა გახრწნაზე.

**სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა სოფლისთვის.**

**მოსკოვი.** 13 აპრილი, (რადიო). პირველ აპრილამდე მოსკოვის საგუბერნიო სამიწათმოქმედო განყოფილებასთან არსებულ საწიგნთსაცავო განყოფილების მიერ შედგენილია 360—სასოფლო-სამეურნეო წიგნთსაცავი სამეურნეო უბნებისთვის. პირველ მაისისთვის დამთავრდება კოლექტიურ მეურნეობისთვის დანიშნული 400 წიგნთსაცავის შედგენა. ყოველ წიგნთსაცავში არის 200 ცალი წიგნი სოფლის მეურნეობის ყველა დარგებიდან.

**ინგლისთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების გამო.**

**მოსკოვი.** 13 აპრილი. (რადიო). სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება დიდ ბრიტანეთთან მარტის 16-ს დადებულ ხელშეკრულების გამო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: მიენდოს საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს გახსნას უცხო სახელმწიფოთა სავაჭრო გემებისთვის ნავთსადგურები: თეთრ ზღვაზე მურმანი და არხანგელსკი; შავ ზღვაზე ოდესა, ნიკოლაევი, სევასტოპოლი, ფეოდოსია, ნოვოროსიისკი, ტუაპსე; ბალტიის ზღვაზე-კრონშტადტი, აზოვის ზღვაზე-მარიუპოლი და როსტოვი.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება გეგმათა კომისიებზე.**

**მოსკოვი.** 1 აპრილი. (რადიო). პარალელიზმისა და შეუთანხმებლობის აღსაცილებლათ, სიმწყობრის გასაძლიერებლათ, ეკონომიურ აპარატის გასამარტივებლათ და მის განაწილების წესიერ დაქვემდებარების შესაქმნელათ არსდება გეგმათა კომისიები; ამასთან ერთად უქმდება ყველა საუწყებათაშორისო კომისიები და მუდმივი თათბირები. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსდება კომისია საერთო გეგმის შესამუშავებლათ სოფლისა და ტყის მეურნეობისთვის.

# საზღვარ-გარეთ

**პროლეტარული ომის წინადღე ინგლისში**

**ვარშავა.** 11 აპრილი. (რადიო). „ტაიმსი“ იუწყება, რო შოტლანდიაში ბევრი ტრალერი და ტყვიის მფრქვეველი გაიგზავნა, რადგან შოტლანდიის მაღაროებში არეულობამ იფეთქა.

**მდგომარეობა ინგლისში**

**პოლ-დიუ.** 11 აპრილი (რადიო). ინგლისის მუშათა (მემაღაროების, რკინისგზელთა და ტრანსპორტის მომუშავეთა) სამთა კავშირის გაფიცვის გამო, 10 აპრილიდან აღკრძალულია სურსათის მოგროვება... (გამოტოვებულია)... აღელვება იმის გამო, რომ შრომის სამინისტროს ადგილობრივმა ორგანოებმა შესწყვიტეს დახმარების მიცემა ათასობით უმუშევრებზე, არის გაფიცვის მიზეზი. იქვე დაიხურა ფაბრიკები. ნახშირი სრულიად არ არის.

**მოსკოვი.** 13 აპრილი. (რადიო). ინგლისის ნახშირის მაღაროების ბევრ რაიონიდან შიღებულია ცნობები, რომ მაღაროებში მომუშავე ცხენები ამოყვანილია ზევით. ნახევრათ ბრმა ცხენები. რომელთაც მთელი თავისი ცხოვრება მაღაროში გაუტარებიათ, მაშინ ამოყავთ ზევით, როდესაც მაღაროებს საფრთხე მოელის.

**ინგლისელი მაღაროში მომუშავენი.**

**ლონდონი.** 13 აპრილი. (რადიო) დღეს შესდგება თათბირი მაღაროში მომუშავეთა დელეგატებისა მაღაროებას პატრონებთან საჭირო ზომების განსახილველად გაფიცვის ლიკვიდაციისთვის. გაზეთები იტყობინებიან, რომ საკითხი მუშათა და მწარმოებელთა ურთი-ერთობის შესახებ თვით მუშების მიერ იქნება გადაწყვეტილი ხმების შემწეობით. უელსის მაღაროებში. მომუშავენი უკვე შეუდგნენ მუშაობას.

**კომუნიზმი საბერძნეთში.**

ქალ. ბელეში თამბაქოს მრეწველობის მსხვილ ცენტრში, მარტში უმუშევრებმა გამართეს გრანდიოზული მანიფესტაცია, რომლის ძირითად ლოზუნგს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დაწესების მოთხოვნილება. ეს დემონსტრაცია მოწყობილი იყო კომუნისტურ პარტიის მიერ. ჯარის რაზმმა, რომელიც პირველი გაიწვიეს მანიფესტაციის წინააღმდეგ, უარი თქვა ბრძანების ასრულებაზე. მანიფესტანტების გაფანტვა მოახერხეს მხოლოდ ხელახლათ გაწვეულმა სამხედრო რაზმებმა.

საბერძნეთის ჯარში საგიტაციო მუშაობისათვის სმირნის ფრონტზე მოწყობილია 10 კომუნისტური იაჩეიკა. კომუნისტური ორგანიზაციები დაარსებულია აგრეთვე საბერძნეთის კრეისერებზე, რომლებიც დგანან კონსტანტინეპოლის ნავთსადგურებში.

**ომის შემდეგ კაპიტალისტების ინტერესებისათვის.**

**ნაუენი.** 11 აპრ. (რადიო). უნუგეშო მდგომარეობა პოლონელ მუშებისა, დათხოვნილ ჯარის-კაცებისა და ინვალიდებისა კატასტროფიულია, სიმშილობენ. სახელმწიფოს არ ძალუძს მათ დაეხმაროს. ბინტებში გახვეული ჯარის-კაცათ ნამყოფნი ამაოდ ელიან დაპირებულ მიწების დარიგებას. ინვალიდები გამართულ მიტინგზე ურჩევდნენ ზემო სილეზიის პოლონელ მცხოვრებთ პოლონეთისთვის არ მიეცათ ხმები. ქვრივ-ობოლთა ბრბო პურს თხოულობს, რომელიც სულ ძვირდება.

**საფრანგეთის სასამართლო**

**მოსკოვი.** 6 აპრ. ამხან. სტეკლოვი წერილში „განწირული რეჟიმი“ ს სახელით, ამბობს: „10 რევოლიუციონერი, მათ შორის 4 კომუნისტი, რომელნიც პარიზში იყვნენ მიცემულნი პასუხის-გებაში, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში, გაამართლეს“. გაზეთი „ჰუმანიტე“ გვაუწყებს, რომ საფრანგეთის საპყრობილეები გავსილია პოლიტიკურ საქმეზე დაპატიმრებულებით, რომ შეუძლებელია ახალ დაპატიმრებულთა მიღება. დაპატიმრებულნი იმყოფებიან მეტად საზიზღარ პირობებში: მათ ათავსებენ საერთო კამერებში ჯიბგირებთან, მკვლელებთან და სუტენერებთან და მიუხედავათ მათი პროტესტისა, მაინც არ გადაჰყავთ პოლიტიკურ პატიმართა პირობებზე. ასე მათ აკავებენ მთელი თვეობით იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს ბურჟუაზიულ სასამართლომ გაამართლოს იგინი სათანადო ბრალდებების უქონლობის გამო. ბურჟუაზიული რეჟიმი განწირულია დასაღუპათ. იგი, როგორც ყოველი მომაკვდავი რეჟიმი, შეუპყრია სიბოროტეს და იცემება მარჯვნივ და მარცხნივ. ველურ სიმკაცრით, გარყვნილი ბურჟუაზია თავს ესხმის საფრანგეთში პროლეტარულ ავანგარდს და რევოლიუციონურ ჯარის-კაცებს.

**დანიაში.**

**სტოკჰოლმი.** 5 აპრილი. დანიაში მზადდება დიდი ბრძოლა მუშებისა და მწარმოებელთა შორის. რკინის და აგურის დიდმა ქარხნებმა გადასწყვიტეს შეამოკლონ სამუშაო და მუშების პროტესტის საპასუხოთ გამოაცხადეს ლოკაუტი. ქუჩაში გაყარეს 40 ათასი მუშა. სხვა მწარმოებელთ გადასწყვიტეს მიბაძონ ამ მაგალითისა. არავითარი იმედი არაა, რომ ეს კონფლიქტი მშვიდობიანათ გადაწყდეს. მუშათა შორის იზრდება აშკარა მოძრაობა.

**რუმინელ თავად-აზნაურობის შურისძიება.**

**ოდესა.** 7 აპრილი. (რადიო). სამხედრო-საველე სასამართლომ კომუნისტების საქმის გარჩევის დროს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 9 პირს, მათ შორის რაკოვსკის, 4 კომუნისტს—20 წლით კატორღა, 2-ს—8 წლით, 2-ს—5 წლით და 6-ს—3 წლით.

**ყვითელ ინტერნაციონალის დამარცხება.**

**რიგა.** 11 აპრილი. (რადიო). „ფრეიხეიტი“ იტყობინება, რომ ცდა პროფესიონალურ კავშირების ინტერნაციონალის შეერთებისა მეორე ინტერნაციონალთან დამარცხებით დამთავრდა.

**კიდევ შეტევა.**

**ნაუენი**, 11 აპრილი. (რადიო). ვარშავის გაზეთები იტყობინებიან, რომ საფრანგეთი და პოლონეთი ემზადებიან საერთო შეტევისთვის ბერლინზე, თუ ვინიცობაა გერმანიამ პირველ მაისისთვის საფრანგეთის მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილა.

**ზემო-სილეზიაში.**

**ლიონი.** 12/4 (რადიო). ჰავასის სააგენტო გვაცნობებს გამოძიების შედეგებს მოკავშირეთა უმაღლეს კომისიისას, შესახებ სამხედრო ორგანიზაციულ გამოსვლებისა, რომელსაც ცნობების მიხედვით, მეთაურობდა ლეიტენანტი დემინგი. გამოძიებამ გამოარკვია ზემო-სილეზიაში გერმანულ სასამართლოების მიერ წარმოებული მთელი რიგი ბოროტმოქმედებათა. ელეიდიდის ტრიბუნალის მოსამართლე კნოტი გაიქცა, იმავე ტრიბუნალის გეიმცის მოსამართლე არამც თუ გაიქცა, არამედ თანაც წაიღო იმ ყუთის გასაღები, რომელშიაც იმყოფებოდა მნიშვნელოვანი საბუთები. საზღვარ-გარეთ გაიქცა აგრეთვე ბეიტენის ტრიბუნალის მოსამართლე-ვისსელი, შემჩნეული იარაღის კონტრაბანდათ გატანაში. კომისიამ დაამტკიცა ფაქტი გერმანელ პასუხისმგებელ პირთა მონაწილეობის ზემო-სილეზიის პლებისციტის შედეგის საწინააღმდეგო მოქმედებაში. ეს ფაქტი მტკიცდება ოფიციალურ განცხადებით, რომელიც წარუდგინა გერმანიის მთავრობამ უმაღლეს კომისიას, შესახებ ახლად გაქცეულ 17 დაპატიმრებულის, რომელიც ურევიან კასელის საქმეში. ამ განცხადებაში გერმანიის მთავრობა ამტკიცებს, რომ ხსენებულ პატიმართა გაქცევა მოწყობილ[ი] ყო პოლიციის აგენტების მიერ.

**პოლონეთი და გერმანია.**

**ვარშავა.** 13 აპრილი. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიმართა იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრს სფორცას ნოტით, რომელშიც აღნიშნავს, რომ თანახმად ვერსალის ხელშეკრულების პირობებისა, საკითხი ზემო სილეზიის შესახებ უნდა გადასწყდეს პლებისციტის საშუალებით, ე. ი. მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილის გამოხატვით.

ამის გამო პოლონეთი თხოულობს აუცილებელ პირობად ვერსალის ხელშეკრულების გამოყენებას და ზემო სილეზიის ქვა-ნახშირის ზონის პოლონეთთან შეერთებას, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა პოლონეთთან შეერთებას მიემხრო.

**უკმაყოფილება ლოიდ ჯორჯით.**

**ლონდონი.** 2 აპრილი. გაზ. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ი რუსეთთან სავაჭრო შეთანხმების შესახებ სწერს: „საბჭოთა მთავრობა, რომელსაც ლოიდ-ჯორჯმა თავის სავაჭრო შეთანხმებით რაოდენიმე სიმკვიდრე შესძინა, აშკარად ემტერება საფრანგეთს და შეერთებულ შტატებს... რუსეთს ჰყავს ძლიერი, იქნება ყველაზე უძლიერესი ჯარი და ლოიდ-ჯორჯის მიერ ჩამოგდებული შეთანხმება უეჭველია ხელს შეუწყობს უზრუნველყოფას ამ ჯარისას, რომელსაც გამოიყენებენ ან ერთ ერთის, ან იქნება ერთად ყველა მოკავშირეების წინააღმდეგ.

# ამხ. თაგუკაშვილის დაკრძალვის წესი

კვირას, აპრილის 17 ს.

1. დაკრძალვაში მონაწილეობას იღებენ: 1) პარტია, 2) საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი და ქალაქები, 3) პროფესიონალური კავშირები და მუშათა ორგანიზაციები, 4) მეთერთმეტე არმიის გარნიზონის ნაწილები და საქართველოს წითელი ლაშქარი, 5) ჯავშნოსან „საბჭოთა საქართველო“-ს კომანდა და 6) მუშათა და გლეხთა მილიცია.

2. სიტყვების წარმოსათქმელად პასუხისმგებელი ორატორები მოწვეულნი არიან: 1) საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის, 2) საქ. კომ. პარტ. თბილისის კომიტეტის, 3) საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა და მე-4) მეთერთმეტე არმიის პოლიტიკურ განყოფილებისაგან.

3. პროცესიის მსვლელობას წესი: 1) შესაკრებ ადგილად ინიშნება პლეხანოვის პროსპექტი (მიხაილოვის), მიხაილოვის საავადმყოფოს კარებთან, 2) რაიონები და ნაწილები გამოდიან იმ ვარაუდით, რომ დანიშნულ ადგილზე სწორედ $11 \frac{1}{2}$ ს. შეიკრიბნენ, 3) ა)

კარების მარცხნივ კიროჩნის ქუჩისაკენ მწკრივდება ჯავშნოსან „საბჭოთა საქართველო-ს" კომანდა, ბ) კომანდის გვერდით და შემდეგ დგებიან გარნიზონის ნაწილები, 3) კარების მარჯვნივ საქართველოს წითელი ლაშქრის ნაწილები, გ) კარების მარცხნივ კიროჩნის ქუჩისაკენ ქუჩის მეორე მხარეზე—პროფესიონალური კავშირები და მუშათა ორგანიზაციები, დ) კარების მარჯვნივ ქუჩის მეორე მხარეზე—მუშათა და გლეხთა მილიცია. 4) ცხედრის გამოსვენება მოხდება დღის 12 საათზე. მარშრუტი: პლეხანოვის პროსპექტი, კიროჩნის ქუჩა, ვერის აღმართი, ოლღას ქუჩა, რუსთველის პროსპექტი (ყოფ. გოლოვინსკი), ბარიატინის ქუჩა ალექსანდროვის ბაღის ქვედა კარებამდის. 5) ბინიდან კუბო ჯავშნოსან „საბჭოთა საქართველო"-ს კომანდას გამოაქვს, 6) კუბოს მოყვებიან თაბუკაშვილის მახლობელნი და პასუხისმგებელნი ამხანაგები, შემდეგ ჯავშნოსან „საბჭოთა საქართველო"-ს კომანდა, შემდეგ პროფესიონალური კავშირები და მუშათა ორგანიზაციები, შემდეგ მეთერთმეტე არმიის გარნიზონის ნაწილები, შემდეგ საქართველოს წითელი ლაშქრის ნაწილები და ბოლოს მუშათა და გლეხთა მილიცია.

4. პლეხანოვის და კიროჩნის კუთხეში ჯავშნოსანის კომანდას სცვლიან პროფესიონალურ კავშირების და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელთაც მიაქვთ კუბო ვერის ხიდის ბოლომდე. იქ მათ სცვლის, საქარ. წითელი ლაშქარი, რომელსაც მიაქვს კუბო რუსთველის პროსპექტამდე, შემდეგ კუბო მიაქვთ მეთერთმეტე არმიის ნაწილებს ბარიატინის ქუჩამდე და ბოლოს მილიციას.

სიტყვები წარმოითქმება შემდეგი რიგით: 1) საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისაგან, 2) საქ. კომ. პარტიის ცენტ. კომიტეტისაგან, 3) მეთერთმეტე არმიის პოლიტიკურ განყოფილებისაგან და საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტისაგან.

ყოველ გვარი ცნობების მისაღებათ მიმართეთ ამხ. ქიქოძეს. (სასახლე, ოთახი № 14).

**დაკრძალვის მომწყობი კომისია.**

# მშრომელთა სიმღერა

იყო დრო, როდესაც ულვთო ბედი სულს გვიხუთავდა,
ტანჯვის უღელი კისრად გვედგა აუტანელი,
ჩვენ ვაკეთებდით ყველაფერსა ოფლით და სისხლით
და ამ ნაშრომით სუქდებოდა მუქთად მჭამელი.

ჩაგრულთ მოსარჩლე—ჩვენი გულის მესაიდუმლე,
მწარე ცრემლებით თავის ქერას ეთხოვებოდა...
ყველა სინდისის და შრომისა პატივმცემელი
ამა გზაზედა, როგორც ჭია, ისე კვდებოდა.

დაჰკრა საათმა, დაილეწა მონობის ჯაჭვი!.
მოისპო წესი დაწყევლილი, შეჩვენებული!..
მტაცებლობისა ბატონობის დაინგრა ტახტი,
უსამართლობა და ძალაზე აშენებული!..

აღსდექით ძმებო! ბატონისა ნება შეირყა...
შრომის დიდებას ვერ მიუვა უქმად მჯდომელი.
ახალი დროა, ჩვენს საქმეს და ჩვენს პიროვნებას
ვერ შეეხება მტარვალისა მძარცველი ხელი...

იშვებდეთ ძმებო! სიმართლისა ვარსკვლავი ბრწყინავს!..
ეს ნიშანია დიდებული თანასწორობის!..
თავისუფლება ჩვენს ხელთ არის...
ეჰა, დაინგრა ძველი ქვეყანა მონობის და უსამართლობი!..

**მათე წითელი.**

მარტი, 1921 წ.

# ქრონიკა

**ბეჭდვის თავისუფლება.** საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რევკომმა მიიღო საერთო გადაწყვეტილება გაზეთების გამოშვების საკითხის შესახებ: საბჭოთა საქართველოში გაზეთის გამოსაცემათ არავითარი ნებართვა არაა საჭირო. საბჭოთა მომხრე გაზეთები დევნას არ განიცდიან და თავისუფლათ გამოდიან.

**კავკასიის სასოფლო სამეურნეო მრეწველობა.** საზოგადოება „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა"-ს აქციონერთა საერთო კრებამ დაადგინა გააუქმოს თავისი მოქმედება.

**შრომის სახალხო კომისარიატში.** შრომის სახალხო კომისარიატის ასისტენტ-ინსპექტრისათ დაინიშნა ამხ. მახარაძის ქალი, რომელიც პროვინციაში სამუშაოთ უკვე გაემგზავრა. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის გეგმა მიღებულ და დამტკიცებულ იქმნა. შრომის სახალხო კომისარიატმა ბათომში გაგზავნა ამხ. კურნელია შრომის განყოფილების მოსაწყობათ.

**იუსტიციის სახალხო კომისარიატში.** იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებული კოლეგია შეუდგა სახალხო სასამართლოების და ვექილთა კოლეგიის დებულებათა პროექტების განხილვას, რომელიც გამომუშავებულ იქნება საბჭოთა წესწყობილებისდა მიხედვით სას. მართლოს სარეორგანიზაციო კომისიის მიერ.

— **მუშათა სახლები.** შესდგა კომისია მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, რომლებშიაც შედის საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი, პროფესიონალურ საბჭოს წარმომადგენელი და ცენტრალურ საბინაო განყოფილების წარმომადგენელი. კომისია ამ დღეებში შეუდგა მუშების სარდაფებიდან და სხვა საცხოვრებლად უვარგის ბინებიდან მუშებისთვის მუშების გადასახლებას მათთვის სპეციალურათ მ ნახულ სახლებში.

**1 მაისის დღესასწაული.** საქართველოს წარმოებათა კავშირების საბჭო იმუშავებს 1 მაისის დღესასწაულის გეგმას. დადგენილია მიენდოს მელითონეთა კავშირს 1 მაისისთვის მოხსნან ვორონცოვის ძეგლი, მოედანს კი დაერქვას შაუმიანისა და ჯაფარიძის სახელობის მოედანი, რის შესახებ უნდა ეცნობოს რევკომს.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** კვირას, აპრილის 17-ს, დილის 10 ნახ. საათზე, მასწავლებელთა სახლში (ყოფილი ქართული კლუბი) მოხდება საქართველოს საისტ. და საეთნ. საზოგადოების ჩვეულებრივი კრება. პროფესორი ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ბრძოლა საქართველოს მთლიანობისა და დანაწილების გამო მე-XV—XVI-ე საუკუნეში". კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

შაბათს ა. წ. 16 აპრილს საღამოს 7 საათზე მემარცხენე სოციალისტ რევ. თბილისის კომიტეტის შენობაში (პეტროგრადის ქუჩა, 13 შესდგება საერთო კრება ხსენებულ პარტიის წევრთა. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ასლანოვი შემდეგ თემაზე: „მემარცხენე ს. რ. და კომუნისტთა შეერთების აუცილებლობა, თანახმათ მემარცხენე ს. რ. თბილისის კომიტეტ ს დადგენილებისა".

— **ნავთის მიცემა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის სათბობ მასალის ბიურო აცნობებს მუშათ და მოსამსახურეებს, რომ მუშათა მაგიდა მარტის ნავთის მისაღებ ორდერების გაცემას შესწყვეტს 14 აპრილს. ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც თავის დროზე არ მიიღებენ ორდერებს, შემდეგში ამის უფლებას კარგავენ.

**ცენტრალური საბინაო კომისია.** ამხ. იტრიევის ნაცვლად ცენტრალურ საბინაო კომისიის ხუთის კოლეგიის წევრათ ქალაქის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დანიშნა ამხ. ჩიქოვანი.

**სოლანლუღის-სანაინის რკინის გზის რაიონის გადაცემა საექსპლოატაციოთ საქართველოს რკინის გზებზე.** სომხეთის რკინის გზის სამმართველოს რწმუნებულმა ინჟ. ხატისოვმა 10 აპრილს აცნობა საქართველოს რკინის გზის სამმართველოს, რომ სომხეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის თანხმობით სოლანლუღ-სანაინის რაიონი 10 აპრილიდან დროებით გადადის საექსპლოატაციოთ საქართველოს რკინის გზის სამმართველოში, მოსამსახურეთა შტატი აღნიშნულ რაიონებისა დარჩება თავის ადგილზე, მხოლოდ დაექვემდებარებიან საქართველოს რკინის გზის სამმართველოს.

სომხეთის რკინის გზის აგენტები სადგურ სანაინზე სარგებლობენ საცხოვრებელ ბინით. ორთქლმავლები გაჩერდებიან დეპოში, შეკეთდებიან და მომარაგებულ იქნებიან საწვავ მასალისთანაბრად საქართველოს ორთქლმავლებთან. სადგურ სანაინს განაგებს საქართველოს რკინის გზის სამმართველო.

**ბოტანიკური ბაღი.** მიწად მოქმედების კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით ტფილისის ბოტანიკურ ბაღში შესასვლელი ფასი გააუქმეს.

— **პური უმუშევრებთ.** შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით ყველა უმუშევარი მუშები პურის ულუფას უნდა იღებდნენ შრომის ბირჟის საშუალებით, ულუფის მიღების უფლება აქვთ უმუშევართ, რომელნიც აღრიცხულნი არიან შრომის ბირჟაში. ამიტომ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს უმუშევართ პურის მიღებაში დაბრკოლების ასაცილებლათ ჩაეწერონ შრომის ბირჟაში.

— **საბჭოთა დაწესებულებების რეგისტრაცია.** ქალაქის რევკომის მმართველობის განყოფილების საინფორმაციო-საინსტრუქტორო ქვეგანყოფილება კიდევ ერთხელ წინადადებით მიმართავს თბილისში მყოფ საბჭოთა ყველა დაწესებულებებს გამოგზავნონ შემდეგი ცნობები: დაწესებულების სახელი (სრული და შემოკლებული), ვინ უდგას სათავეში (გვარი), კოლეგიის შემადგენლობა, დაწესებულების სქემა (განყოფილებანი, ქვე-განყოფილებანი და სექციები), ვის ექვემდებარება დაწესებულება ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზით, მისამართი დაწესებულებისა, ყველა ტელეფონის ნომრები და რაოდენობა შტატისა.

**ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.** ქართული სასოფლო-სამეურნეო ადგილობრივი კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები გადავიდენ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის უწყებაში.

**მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატში.** მიწათ-მოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ე. მ. კოკაშვილი ღებულობს სამსახურის საქმეებზე კომისარიატის შენობაში 9-11 საათამდე, მთხოვნელებს კი დღის 1-2 საათამდის.

**ქალაქის ბოსტანი.** თბილისის ქალაქის რევკომის სასოფლო-სამეურნეო კომისიამ გააშენა ბოსტანი ქალაქის მიწებზე, ერთი ვერსის სიშორეზე რადიო-სადგურიდან (ნავთლუღის იქით) ბოსტანი გააშენეს 43 დესეტინაზე.

**პირდაპირი მიმოსვლა თბილისს-ბათომის შორის.** 12 აპრილს გაიხსნა პირდაპირი სახალხო მატარებლების (გადაუჯდომლათ) მოძრაობა თბილის ბათომის შორის. საფოსტო მატარებლები № 3 და 4 ივლიან ყოველდღე ცხრილის მიხედვით. თბილისიდან მატარებელი გავა საღამოს 8 საათზე, ხოლო ბათომიდან მოვლა დილის 10 საათზე. ამავე დროს მატარებელთა სწორი მიმოსვლა აღდგენილია ყველა შტოებზე. მათი წასვლა-მოსვლის დრო შეთანხმებულია № 3 და 4-თან. დაზიანებული გრკალის და მცხეთის ხიდები ამ ჟამად სრულიად გასწორებულია.

**მუშათა სასახლე ფოთში.** საქართველოს პროფესიონალურ საბჭოების პრეზიდიუმმა დაადგინა დაასრულოს მუშათა სასახლე ფოთში, რომლის შენებაც დაწყებულია ჯერ კიდევ მენშევიკურ მთავრობის დროს.

# მკითხველის წერილები.

**თბილისი უნდა გაიწმინდოს**

რუსეთის დიდი რევოლიუციით შეშინებული ბურჟუაზია ერთად ერთ თავშესაფარს საქართველოში ეძებდა. ამით აიხსნება სწორეთ კონტრ-რევოლიუციონერთა ის დიდი გადმოსახლება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, რომელიც ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში სწარმოებდა. ასობით და ათასობით გამოქცეული შავი ელემენტები აწყდებოდა ჩვენს დედაქალაქს და დაბოლოს ისე გაივსო ის ამ ელემენტებით, რომ სუნთქვაც აღარ შეიძლებოდა. მთელი შენობები, რომელნიც ცოტათ თუ ბევრათ ვარგოდა საცხოვრებლად, ამ გამოქცეულ პირთ უვარდებოდათ ხელში. ეს ადვილი გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენში ბინის საკითხის შესახებ ან არავითარი კანონი არ არსებულა ან, თუ არსებობდა ისიც მხოლოდ სქელ ჯიბიანობის სასარგებლოდ. მაშინ როდესაც ბურჟუაზიული წრეები ბინას 6—7 ოთახით არ კმარობდენ, მაშინ როდესაც ისინი განცხრომით ცხოვრებას ეწეოდენ, საქართველოს მშრომელი მასა ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდა ბარგ აკრეფილი, მშიერ-მწყურვალი, ბედისაგან და კაცისაგანაც საცინლათ აღებული. ყოფილი მთავრობა სიტყვით დარაჯათ უდგა მშრომელ მასას, საქმით კი ბურჟუაზიულ წრეების გამაგრება-გამტკიცებას ემსახურებოდა. დღეს კი, როდესაც საქართველოში ნამდვილი რევოლიუციონური დროშა ფრიალებს და როდესაც მართვა-გამგეობა ჩვენს მუშათა და გლეხთა ხელშია, თავისთავად ცხადია ასეთ მოვლენას ადგილი აღარ ექნება. მხოლოდ თბილისის განწმენდა კონტრ-რევოლიუციონურ და სხვა ზედმეტ ელემენტებისაგან არც ისე ადვილია, როგორც ეს ზოგიერთებს გონიათ. მართალია ბევრ შავი და ყვითელი ელემენტი გაიქცა, მაგრამ აქ დარჩა მათი ოჯახობა და ნათესაობა, რომლებიც მათზე ნაკლებ საშიშონი არ არიან. ბევრი საუცხოვო ბინებია ასეთების ხელში. ჩვენი წესები მათ კარგათ იციან და ამიტომ ამ თავიდანვე შეუდგენ თავიანთ ბინებში ნაცნობების შეხიზნებას. ამ კატეგორიას უნდა მიუმატოთ ყველა ის, ვინც თფილისში ცხოვრობს და საქმე კი აქ არავითარი არა აქვს. ასეთებიც თფილისში ცოტა არ მოიპოვება. მოეპრიანა ამა თუ იმ პირს თავის ცოლშვილის ქალაქათ ცხოვრება, აიკრა გუდა-ნაბადი და ამოყო თფილისში. რით უნდა იცხოვროს ასეთებმა თუ არა სპეკულიაციით.

ამიტომ ამ თავითვე მტკიცე ნაბიჯი უნდა იქნეს გადადგმული ქალაქის გასაწმენდათ. სირცხვილია და მასთან ერთად მიუტოვებელი დანაშაული, რომ უსაქმოთ მოყიალე ვაჟ-ბატონებმა ჩვენის ოფლით და ვაი-ვაგლახით დამუშავებული პური სჭამონ. დაუშვებელია, ჩვენ მუშა-მოსამსახურეებს ბინა არ გვქონდეს და უქმად მყოფი ელემენტები კი განცხრომით ცხოვრობდენ. და აი ვისაც სურს თფილისში ნორმალური ცხოვრების დამყარება, მან პირველათ ყოვლისა უნდა იზრუნოს და იფიქროს მის განწმენდაზე. ეს აუცილებელია.

**პიერ..**

# კომპ. ქალთა განყ. მიზანი

9 აპრილს შესდგა ქალაქ თბილისის ყველა რაიონების კომუნისტ ქალების და კანდიდატების კრება, რომელზედაც მოისმინეს მოხსენებანი საქართველოში მყოფ მუშა ქალების მიზნების და ქალთა განყოფილების თბილისის კომიტეტის მოქმედების შესახებ. საქართველოს მუშა ქალთა მიზნების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქალთა განყოფილების თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გასვიანი. დახასიათა რა ქალთა მოძრაობა დასავლეთ ევროპაში, შემდეგ დაწვრილებით შეჩერდა ქალთა მოძრაობაზე რუსეთში.

„რუსეთში—სთქვა ამხ. გასვიანმა,—ქალთა მოძრაობა იწყება მუშა მამაკაცთა მოძრაობასთან ერთად. უკვე 90-იან წლებში მუშა ქალები – კაცებთან ერთად ღებულობდენ მონაწილეობას გაფიცვებში, 1905 წლიდან მუშა ქალი გამოდის აქტიურათ და მაშინ, როდესაც კაცის ვაჟკაცობა სუსტდებოდა, ქალი ადიოდა ტრიბუნაზე და იქიდან მოითხოვდა თავისუფლებას და უფლებებს. ქალი გამოდის საქმიან მებრძოლათ, ფემინიზმი ისპობა. მუშა ქალი საბოლოვოდ ითვისებს ჭეშმარიტებას, რომ ყველა ქალს ერთნაირი ინტერესი არა აქვს, რომ მუშა ქალმა უნდა იბრძოლოს თავის უფლებების მოსაპოვებლათ. ქალების ხელფასი ყოველთვის ნაკლები იყო, ვიდრე კაცებისა. მუშა ქალს ევალებოდა არა მარტო ფაბრიკა-ქარხანაში მუშაობა, არამედ დიასახლისობაც. ეს ართმევდა მას მთელ დროს და ბუნებრივია, რომ იგი განვითარების მხრივ უკან რჩებოდა მამაკაცს. ქალის დაჩაგვრა იყო სრული: როგორც მუშა ქალის, და როგორც საზოგადოთ ქალის. საბჭოთა ხელის-უფლების მოსვლით ქალმა მიიღო ყველა უფლებანი, მაგრამ მან ვერ ისარგებლა მაშინვე თავის ახალი მდგომარეობით. მიზეზები იგივეა: წერა-კითხვის უცოდინარობა, ჩამორჩენილობა, დაბეჩავება და სხვა... ამ ჟამათ ქალთა მოძრაობა გიგანტიური ნაბიჯებით ვითარდება და ამაში დიდი როლი ითამაშა კომპარტიის ქალთა განყოფილებამ.

ქალთა განყოფილების წინაშე სდგას შემდეგი საკითხები: (სააგიტაციო მუშაობა), კონცერტ-მიტინგების მოწყობა განმარტებით, თუ რაში მდგომარეობს ქალთა მოძრაობა, რას აძლევს საბჭოთა ხელის-უფლება ქალებს, რა სიბნელე სდევს თან წერა-კითხვის უცოდინარობას, პრაქტიკული მუშაობა, სახელდობრ ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, ბავშვებზე ზრუნვა, საბავშვო ბაღების, კერების და თავშესაფარების მოწყობაში მონაწილეობის მიღება. ამასთანავე მთელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს არა შინამრეწველობის გზით, არამედ მიზანშეწონილათ. ქალაქებსა და საწარმოვო პუნქტებში ჩვეულებრივათ მუშაობა განაწილდება დაწესებულებებში. სოფლათ კი უმთავრესათ საქმე გვექნება დიასახლისებთან. ადგილობრივ მუშაობის წარმოებისთვის, აუცილებელია დელეგატთა ყრილობის მოწვევა, ამ დელეგატების მომზადება ქალთა შორის სამუშაოდ, რას შემდეგაც ისინი გაიგზავნებიან ყველა დაწესებულებებში. საბჭოთა დაწესებულებანი თანაგრძნობით ხვდებიან ძალთა მუშაობას, ასე მაგალითად ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში ქალი დელეგატი მონაწილეობას ღებულობს თავშესაფარის მოწყობაში, კონტროლს უწევს საავადმყოფოს, ქალი მიდის შრომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში, სასურსათო კომიტეტებში. მომხსენებელი აღნიშნავს: შემჩნეულია, რომ სასურსათო რაზმებში ქალს მოაქვს ძლიერ დიდი სარგებლობა, რადგანაც იგი უფრო ახლო დგას მეურნეობასთან და უკეთ იცნობს სურსათს. ძლიერ ძვირფასია ქალების მონაწილეობა საზოგადო კრების საქმეში: შუაგულ რუსეთში 8 მილიონი ბავშვი იკვებება საბავშვო სასადილოებში ქალების ზედამხედველობით. ქალი უნდა მუშაობდეს სახალხო მეურნეობის საბჭოში და მუშა-გლეხთა ინსპექციაში და თუ სამხედრო ფრონტზე ქალი ნაკლებ მუშაობს, სამაგიეროთ კომუნისტ ქალს უნდა ახსოვდეს სამხედრო ფრონტიც—თვითეულმა მათგანმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საყოველთაო სწავლებაში. ქალმა აუცილებლათ უნდა დაამტკიცოს, რომ გაჭირვების დროს მას შეუძლიან იარაღით ხელში მამა-კაცთან ერთად თავისუფლების იდეისათვის ბრძოლაც.

თავის მოხსენების დასასრულს ამხ. გასვიანი აღნიშნავს, რომ 10 ივნისს გამზრახულია მოსკოვში ამიერკავკასიის ქალთა ყრილობა, 22 მაისს კი მოწვეულ იქნება საქართველოს ქალთა პირველი ყრილობა და ქალებმა უნდა მიიღონ ამ ყრილობებში ცხოველი მონაწილეობა.

ამხ. გასვიანის მოხსენების შემდეგ გამოდის თბილისის კომიტეტთან არსებულ ქალების განყოფილების თავმჯდომარე ამხ. ოკუჯავა.

ქალების განყოფილების უმთავრესი მიზანი ისაა, რომ მუშა-ქალის განვითარების დონე და მუშაობა გაუთანასწოროს მუშა-კაცის დონესა და მუშაობას, რომ ქალმა თანასწორი მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა აღმშენებლობაში, რომ მას შეეძლოს სრულათ ისარგებლოს თავისი უფლებებით.

ქალების განყოფილებას მუშაობის დაწყება მოუხდა მეტად მძიმე პირობებში. მენშევიკები გაშმაგებით სდევნიდნენ ბოლშევიზმს და პარტია განადგურებულ იქმნა. ქალების განყოფილებამ გამოყო ინსტრუქტორები, რომლებიც მიდიოდნენ ფაბრიკებში და უხსნიდნენ მუშა-ქალებს საბჭოთა ხელის-უფლების მნიშვნელობას და ქალების უფლებას. ინსტრუქტორები ყველგან წინადადებას აძლევდნენ მუშა-ქალებს დელეგატები აერჩიათ. ამ ჟამათ დიდ-ფაბრიკებში მუშაობა უკვე მოწყობილია და უკვე მოხდა დელეგატების ერთი კრება. შემდეგი მუშაობა წარმოებს ამნაირათ: ქალაქი გაყოფილია რაიონებათ, სადაც იგზავნებიან ინსტრუქტორი-ქალები, რომელთაგან ყოველი პასუხს აგებს თავის რაიონისთვის; ყოველი რაიონი გაყოფილია ჯგუფებათ; ეს გაყოფა ხდება ენისა და განვითარების მიხედვით. ამ ჟამად უმთავრესი მუშაობა მიმართულია ბავშვთა თავშესაფარების შექმნისა და თვალყურის დევნისაკენ. ქუჩის ბავშვებისთვის მართავენ საბავშო მოედნებს, სადაც გამოჰკვებენ ბავშვებს. ბეჯითად ცდილობენ აგრეთვე პირობათა გაუმჯობესებას უკვე არსებულ ბავშვთა თავშესაფრებში. პრაქტიკულ მუშაობის დაწვრილებითი გეგმა შემუშავებულ იქნება სულ მოკლე ხანში.

**კომპარტიის ქალთა განყოფილების მიზანი.**

მოისმინა-რა მოხსენებანი კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

მოვისმინეთ-რა მოხსენება თემაზე: „საქართველოს მუშა ქალთა მიზნები და დანიშნულებანი" და აგრეთვე თბილისის კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილების მოხსენება თავის მოღვაწეობის შესახებ, ჩვენ ქ. თბილისის კომუნისტ ქალებს ნათლად წარმოდგენილი გვაქვს რა ქალთა პროლეტარიატის ჩამორჩენილობა და მუშა ქალთა განყოფილების მნიშვნელობა, დავადგინეთ: მივესალმოთ ახლათ დაარსებულ ქალთა განყოფილებას და მთელი ძალღონით ხელი შეუწყოთ უპარტიო ქალთა წრეებში წესიერ მუშაობის ფართოთ განვითარებას და საქართველოს მშრომელ ქალთა პოლიტიკურ ჩამორჩენილობ ს ლიკვიდაციას.

# პარტიული ცხოვრება

**ლექციები.**

შაბათს, 16 აპრილს, მე-3-ე რაიონის სადგომში, საქართველოს კომუნისტურ პარტიის თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი გამართავს პარტიულ ამხანაგებისთვის მოხსენებას ამხ. დონენკოსი რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 ე ყრილობის შესახებ. დასაწყისი საღამოს 6 საათზე. მოხსენება წაკითხულ იქნება ავლაბარში.

კვირას, 17 აპრილს, მე-3-ე რაიკომის სადგომში პარტიულ ამხანაგებისთვის გაიმართება ლექცია თემაზე: „კომპარტია და საბჭოთა რუსეთის პროფკავშირები". ლექციას წაიკითხავს ამხ აგარონოვი, ავლაბარში, კახეთის მოედანი. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს (18—20) ს. კ. პ. თფილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომის სადგომში პარტიულ ამხანაგებისთვის გაიმართება ლექცია ამხ. კარინიანისა თემაზე: „ისტორია რუსეთის კომუნისტური პარტიისა". ავლაბარი, კახეთის მოედანი. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

# პროფესიონალურ კავშირებში

პერიოდიულათ თვეში ერთხელ მაინც შრომის ადგილობრივ განყოფილებათა დ ქვეგანყოფილებათა გამგეთ უნდა მოახსენონ სათანადო პროფესიონალურ გაერთიანების პლენუმებს მათი მუშაობის მსვლელობის შესახებ.

აღნიშნული მოხსენებანი უნდა დაწვრილებით იქმნან განხილული პლენუმის მიერ. პროფკავშირების ყველა ყრილობებზე აუცილებელია განყოფილების გამგის საერთო მოხსენება.

**3) სასურსათო საკითხი.**

მოისმინა რა რ. ხომაშვილის მოხსენება სასურსათო საკითხის გამო და გაითვალისწინა რა სასურსათო მუშაობის საერთო ხაზი, საქ. პროფეს. კავშირთა საბჭომ მიანდო თავის აღმასრულებელ კომიტეტს დაეხმაროს სახ. სასურსათო კომისარიატს, როგორც თვით სასურ. კომისარიატის აპარატის მუშაობაში, აგრეთვე დამზადების და განაწილების საქმეში. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს უპირველესად მუშების გაგზავნაში, რომლებიც ფეხზე დააყენებენ სასურსათო კომისარიატის აპარატს. ამასთანავე პლენუმს აუცილებლათ მიაჩნია და ანდობს ალმ. კომიტეტს და სახ. სასურ. კომისარიატს საზოგადო სასადილოების მოწყობას ალმ. კომ. მიერ მიღებულ დებულებათა მიხედვით. შემდეგ პლენუმს საჭიროთ მიაჩნია სასწრაფოთ გააფართოვოს საბარათო სისტემა, რომელიც მოსპობს განაწილებაში გამეფებულ ანარქიას. რადგან მუშებისთვის წესიერათ სურსათისა და ტანისამოსის მიწოდება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობისა, პლენუმს აუცილებლათ მიაჩნია, რათა პროფ. კავშ. დარჩეს სახ. სას. კომისარიატის და სახ. მეურნეობის საბჭოს განკარგულებაში მყოფი მთელი მასალა, რომელიც საჭიროა მუშებისათვის ტანთსაცმელისა და ფეხსაცმელის მისაწოდებლათ, რომლებიც დარიგდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ და მხოლოდ პროფ. საბჭოს ეკონომიურ განყოფილების საშუალებით. ანდობს რა ამ. კომიტეტს ყველა ამის ცხოვრებაში გატარებას, პლენუმი იმავე დროს აღნიშნავს სახ. სასურსათო კომისარიატის მუშათა ორგანიზაციებთან უფრო მტკიცე კავშირის აუცილებლობას და მის აპარატის მიზანშეწონილათ ამუშავებას.

**საზოგადო საცხოვრებლის და სახალხო კვების კავშირიდან.**

საზოგადო საცხოვრებლის და სახალხო კვების კავშირი აცხადებს ყველა მუშების და მოსამსახურეთა საყურადღებოთ, რომელნიც არ არიან კავშირის წევრებათ, მაგრამ მსახურობენ, მაგალითად, საბჭოთა სახლებში, სასტუმროებში, სასადილოებში და სხ. ამგვარ დაწესებულებებში, რომ ყველა იგინი 3 დღის განმავლობაში ამ განცხადების შემდეგ აღირიცხონ კავშირში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გადაყენებულ იქმნებიან თავის თანამდებობიდან.

**მილიცია.**

9 აპრილს შესდგა საზოგადო კრება მე 7 უბნის მილიციის საქმართველოს მილიციონერების და მოსამსახურეთა. მომენტის შესახებ მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით არის ერთად-ერთი მფარველი მუშა-გლეხთა მასსებისა, შემდეგ ნათქვამია: „ვუგზავნით მხურვალე ძმურ სალამს წითელ არმიას, რომელმაც გაგვანთავისუფლა კაპიტალის უღლისაგან, მის ბელადს ამხ. ტროცკის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. ლენინს“.

**სახალხო საზრდოობის მოსამსახურეთა კავშირში.**

სახალხო საზრდოობის და საერთო ბინის მუშათა და მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა აცხადებს, რომ 17 აპრილს დილის 10 საათზე მუშათა სახალხო დარბაზში შესდგება კრება ადგილობრივ კომიტეტებისა. დღიურ საკითხად არის კავშირის ცენტრალური გამგეობის არჩევა.

**პროფესიონალურ კავშირებში**

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პლენუმის და პროფკავშირების ყველა გამგეობათა 3 აპრილის სხდომაზე შემდეგი რეზოლიუციებია მიღებული:

1. ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს პლენუმი ღებულობს და სცნობს პროფესიონალურ-წარმოებით კავშირების ორგანიზაციის წარმოებითი პრინციპს, როგორც ორგანიზაციის ერთად-ერთ ფორმას, რომელიც საშუალებას აძლევს პროლეტარიატს გაარკვიოს ცხოვრების მიერ მის წინ დასმული საბჭოთა ახალმშენებლობის და წარმოების ორგანიზაციის საკითხები. ამისთვის საქარ. პროფ. კავშირთა საბჭო ანდობს აღმასრულებელ კომიტეტს დააჩქაროს უკვე დაწყებული მუშაობა კავშირების რეორგანიზაციის ამო, წარმოების პრინციპების თანახმათ და წარმოებითი კავშირების ცენტრალური კომიტეტს კი ევალება გაგზავნოს პროვინციაში პროფესიონალური მოძრაობის ალღოსმცოდნე ამხანაგები ორგანიზაციების მოსაწყობათ. ამასთანავე პლენუმი მიმართავს ყველა გაგზავნილ ამხანაგებს მოწოდებით განმარტონ და გააშუქონ ეს საკითხი ადგილობრივ, ფართო მასათა შორის, რათა ადვილათ ვძლიოთ ის ფსიქოლოგიური ვიწრო-ამქრული დაბრკოლება, რომელიც გვხვდება მუშაობის დროს, განსაკუთრებით ინტელიგენტთა წრეებში, რომლებიც ძნელათ ურიგდებიან პროფესიონალურ ორგანიზაციების ახალ ფორმებს და პრინციპებს.

2. **პროფკავშირებისა და სახალხო შრომის კომისარიატის ურთიერთობის საკითხი.**

ა) აუცილებელია სრული კონტაქტი პროფკავშირებისა და შრომის განყოფილებას შორის და პროფკავშირების განუწყვეტელი გავლენა შრომის განყოფილებათა მიმდინარე მოქმედებაზე (ცენტრში და ადგილობრივ; ბ) შრომის სახალხო კომისარიატის კანდიდატები და შრომის განყოფილების გამგეები ადგილობრივ და აგრეთვე კოლეგიის წევრები უნდა არჩეულ იქნენ პროფკავშ. საბჭოსა და ადგილობრივ ორგანოების მიერ სათანადო ყრილობის მოწვევამდე; გ) პროფესიონალურ ორგანიზაციები აწყობენ აგრეთვე შრომის სახ. კომისარიატის და მის ადგილობრივ განყოფილებათა ქვეგანყოფილებებს, გზავნიან ქვეგანყოფილებების ყველა გამგეებსა და პასუხისმგებელ მომუშავეთ—კოლეგიის წევრებს, შრომის ინსპექტორებს, ინსტრუქტორებს და სხვ., დ) ყრილობებსა და კონფერენციებზე პროფესიონალურ გაერთიანების პრეზიდიუმის არჩევნების დროს მხედველობაშია მიღებული, რომ პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი უნდა იყოს შრომის განყოფილების გამგე; ე) შრომის პრინციპიალურ საკითხების გარკვევათ აუცილებელია წინასწარი განხილვა პრეზიდიუმის (ან პროფესიონ. წარმოებითი გაერთიანების პლენუმის) სხდომებზეც.

**მბეჭდავთა კავშირში**

დადგენილ იქმნა: წინადადება მიეცეს „სახალხო საქმის“ სტამბას, დააკმაყოფილოს სტამბის მუშათა მოთხოვნილება, რომელიც შეეხება სტამბის ჰიგიენურ-სანიტარულ პირობების გაუმჯობესებას. მმართველობამ დაადგინა მიიღოს ზომები, რათა „გრუზია“-ს სტამბამ მისცეს მუშებს სალიკვიდაციო სტამბის დაკეტის დღიდან.

**აღმშენებელ მუშათა კავშირში.**

ყველა აგურხანების კავშირებმა აირჩიეს საქარხნო კომიტეტები. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კარგი მიმდინარეობს. ყოველ დღე ქარხნების წარმომადგენლებს ურიგდებათ გაზეთები. უმუშევრობა დღითი დღე კლებულობს, რადგანაც ქალაქთა კავშირის კომიტეტი ბევრს მუშებს თხოულობს, განსაკუთრებით დურგლებს, ქალ. გორის აღსადგენად და სამხრეთ ოსეთში გასაგზავნად.

**მეთამბაქოეთა კავშირში.**

მეთამბაქოეთა კავშირთან დაარსდა კომუნისტური ფრაქცია, რომელშიც შედიან ამხ. ავეტისოვი, არნაუტოვი და ლიტანაშვილი. 8 აპრილს შესდგა ყველა ფაბრიკების ამხ. კომუნისტების საერთო კრება. კრებაზე მოლაპარაკენი მოუწოდებდნენ ორგანიზაციულ და საპროპაგანდო მუშაობისკენ. კავშირის მმართველობამ დაადგინა ყველა ზომები იხმაროს უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კავშირმა შეადგინა შრომის დაცვის კომისია და აგრეთვე ეკონომიური განყოფილება. რადგანაც გაუქმდა საერთო-საქალაქო საავადმყოფო სასარგებლო ფულის შეტანა, ამიტომ დადგენილ იქმნა მიეცეს ავადმყოფ მუშებს და მოსამსახურეებს წარმოებათა სალარიდან ძირითად ჯამაგირის 75 პროც.

# პროვინციაში

**მუხრანი.**

8 აპრილს, 1921 წელს, სოფელ ახალგორის მცხოვრებლების სახალხო მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება დუშეთის მაზრის ორგანიზაციების პასუხისმგებელ ამხ. შაქრო ფირუმოვის და ალ. ბედუკიძისა, აღფრთოვანებულია მთელი საქართველოს განთავისუფლებით. მუშების და გლეხების გამარჯვებით. მიტინგი მიესალმება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევკომს, საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ბელადებს: ლენინს და ტროცკის, საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და დუშეთის სამაზრო რევკომს. მიტინგი დარწმუნებულია, რომ მალე დაემხობა მთელი ქვეყნის მყვლეფელი ბურჟუაზია და მთელი ძალა-უფლებას ყველგან აიღებს ხელში მშრომელი ხალხი, რომელიც დაამყარებს ძმობა-ერთობას და თანასწორობას. ფიცს სდებს, რომ, როგორც წინეთ ახალგორის რაიონი ყოფილა რევოლიუციონურად მებრძოლი. დღესაც ხელი ხელ ჩაკიდებული პირველ რიგში იქნება თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელ ხალხთან. გაუმარჯოს საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკას, სალამი წითელ არმიას, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს.

მიტინგის თავმჯდომარე **გიორგი ხოცუაშვილი.** მდივანი **მჭედლიშვილი.**

---

**სალამი საქართველოს რევკომს.**

მოისმინა რა მოხსენება საქართველოს რევკომის წევრისა რევკომის მოქმედების შესახებ ს. ახალსოფლის გლეხთა ყრილობამ დაადგინა: სრული ნდობა გამოუცხადოს რევკომს და მის მოქმედებას. ყრილობა ფიცსა სდებს, რომ იგი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს მუშა-გლეხთა რევკომს. გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკას და მის ბელადებს ფილიპე მახარაძეს და მიხა ცხაკაიას. გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას და მის ბელადებს სოფელში.

---

ჩვენ სოფელ **ატოცის** ადგილობრივი რევკომის თავმჯდომარის მოწვევით შეკრებილნი ვიყავით კრებაზედ რიცხვით 300 კაცამდე 24 მარტს.

სალამს ვუძღვნით საქართველოს კომპარტიას, რომელიც იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, რომელმაც განათავისუფლა ყოფილი მენშევიკური მთავრობის უღლისაგან საწყალი მშრომელი მუშა ხალხი. მაშ გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის დიქტატურას, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს რუსეთის წითელ ჯარს. ზიზღი და ძველ ყოფილ მენშევიკურ მთავრობას!

ატოცის რევკომის თავმჯდომარე **ა. მახარობლიძე.**

---

მოისმინა რა მოხსენება საქართველოს რევკომის წევრისა რევკომის მოქმედების შესახებ მუშათა და გლეხთა ინტერესების დასაცავად, მრავალრიცხოვანმა კრებამ სოფელ ხანდაკისამ დაადგინა: გამოუცხადოს სრული ნდობა რევკომს. კრება ფიცს სდებს, რომ იგი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკას.

გაუმარჯოს ს. ს. ს. რესპუბლიკას და მის ბელადებს ფილიპე მახარაძეს და მიხა ცხაკაიას.

**ბელაგორის** მშრომელი გლეხობა და მუშები ამხანაგ გ. ელისაბედიშვილის სახით უგზავნიან მხურვალე სალამს სოციალისტურ რესპუბლიკის ბელადს საქართველოს რევკომს და მუშა-გლეხთა წითელ არმიას. ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ვერაგულად მიყიდული ანტანტასათვის ხალხის ინტერესები, ამჟამად იმყოფება სანდო კლასის და პირთა ხელში, სამშობლო, მოწყვეტილი რუსეთის გლეხობას და პროლეტარიატს, დღეს უბრუნდება თავის გამოცდილ და ერთგულ მეგობარს. აღორძინებულ კავშირის წყალობით ჩვენ შევძლებთ ჩავუყაროთ მტკიცე საძირკველი ერთა სოლიდარობას და საბჭოთა უძლეველ ხელისუფლების გაბატონებას. რევოლიუციონური გლეხობა სალამს უთვლის მსოფლიო გლეხობას და პროლეტარიატს. გაუმარჯოს საქართველოს რევკომს! გაუმარჯოს წითელ არმიას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის მებაირახტრე მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

მიტინგის თავმჯდომარე თაბუკაშვილი.

# ფოსტა

**საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის საარაიონო ბიუროებს** რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

**საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში.** მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

**პროფესიონალურ კავშირებს.** მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

---

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“. ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

მე 5-თე რაიონის ბიურო—ბაზრის ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

---

**საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სასურსათო კომისარიატი**

ამით აცხადებს, რომ ამიერიდან სასურსათო კომისრის მოადგილის ამხ. ერქომაიშვილის დასავლეთ საქართველოში გამგზავრების გამო, ახალ წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ულუფის შესახებ უნდა მიმართონ ქალაქის სასურსათო კომიტეტის კოლეგიის წევრს, ამხ. აზოეს. (ყოფილი ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება).

---

ნიკოლოზ მანუკოვმა, ტრამვაის კონდუქტორმა

**იპოვნა 6000 მანეთი**

და გადასცა მე 3 უბ. მილიციონერ პაილაროვს. დამკარგველს შეუძლია მიმართოს სათანადო საბუთებით.

ქ. თბილისის მილიციის უფროსის თანაშემწე **თათეიშვილი.**

---

# განცხადება

ავლაბრის ყველა მცხოვრებ მოქალაქეებმა, რომელთაც ესაჭიროებათ სოციალური დახმარება, უნდა მიმართონ ქალაქის სოციალურ უზრუნველყოფის პუნქტს დილის 9 საათ. 1 საათამდე ქალაქის სასადილოში №—3, კახეთის მოედანზე №—6.

---

„ტფილისის გორრევკომის ზაგს-ის ქვეგანყოფილება ამით აცხადებს, რომ ცოლ-ქმარი-ბუზრიკ ების მიერ შემოტანილია განცხადება თავის წინანდელ გვარის გადანაცვლების შესახებ. ახალი გვარი:

**„ნარცევი“**

ტფ. გორრევკომის ზაგს-ის გამგე **ცეიტლინ.** მდ. საქმის მწარმოებელი **რაზმაძე.**

---

# სკოლის გარეშე განათლების საზოგადოება

კვირას, 17 აპრილს, დილით 10 საათზე, **მუშათა სასახლეში** (მე-III სართული, მბეჭდავთა კავშირში, ოთახი № 23) **დანიშნულია** სკოლის გარეშე განმანათლებელ საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ. 2) ფულის ანგარიშები. 3) მიმდინარე საქმეები.

გამგეობა სთხოვს ყველა ამხანაგებს, სკოლის გარეშე განმანათლებელ საზოგადოების წევრთ, გამოცხადდენ და არ **დაიგვიანონ.** თუ ვინიცობაა, წევრთა სათანადო რიცხვი არ გამოცხადდა აღნიშნულ დროზე, **ხელმეორე** კრება ინიშნება II საათზე ნაჩვენებ ადგილას.

**გამგეობა.**

---

# სასურსათო კომისარიატის განცხადება

ბათომის, ფოთის, სოხუმის, ქუთაისის, **ოზურგეთის,** ხაშურის, გორის, ყვირილის, დუშეთის თელავის, სიღნაღის და სამტრედიის რევკომებს.

სახალხო სასურსათო კომისარიატი **ამით გაძლევთ წინადადებას,** რათა თფილისში საბარათო სისტემის შემოღებამდე, არც ერთმა ქალაქმა არ შემოიღოს ასეთი სისტემა. საბარათო სისტემის შემოსაღებათ **ყველა** ქალაქს თავის დროზედ გაეგზავნება სახელმძღვანელოთ სათანადო ინსტრუქციები და დამზადებული ბარათები.

სახალხო სასურსათო კომისარიატის **განმანაწილებელ განყ.** გამგე **ხატრუა**

ცენტრალურ საბარათო სისტემის ქვე **განყ. გამგე ა. რუხაძე.**

საქმის მწარმოებელი **დ. მგალობლიშვილი.**

---

# პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა

ოთხშაბათს 18 აპრილს საღამოს 5 ს. **კინო თეატრ „მინიონის“** შენობაში დანიშნულია პროფ. კავშირთა საბჭოს პლენუმის **გაფართოვებული** სხდომა პროფ. კავშირთა გამგეობების **მონაწილეობით**

**დღის წესრიგი:**

1. ტარიფი და მომარაგება
2. შრომის დაცვა
3. მუშათა დაზღვევა
4. მიმდინარე ძითხვები

სხდომაზე დასწრება საბჭოს **და გამგეობის** წევრთა სავალდებულოა

**საბჭოს პრეზიდიუმი.**

---

# პროფ. კავშირთა კომუნისტურ ფრაქციის სხდომა

კვირას, 17 აპრილს საღამოს 5 ს. მუშათა **სასახლის შენობაში** მეოთხე სართული, კრების დარბაზში, დანიშნულია პროფ. **კავშირთა კომუნისტურ ფრაქციის** სხდომა. სხდომაზე აუცილებლივ უნდა დაესწრონ კომუნისტები და კანდიდატები პროფ. კავშირთა საბჭოს, კავშირთა გამგეობების წევრნი და წარმომადგენელნი პროფკავშირების სამეურნეო და საბჭოს დაწესებულებებში.

**ფრაქციის ბიურო.**

---

# ცნობათა ცენტრალური განყოფილება „გრუსტა და გრუცენტროპეჩატ“-ისა

დროებით მოთავსებულია რუსთაველის პროსპექტზე, № 11, ტელეფონი 5-96 და შესდგება შემდეგი განყოფილებისაგან: 1) იურიდიული საკონსულტაციო ბიურო, 2) მისამართების, 3) ლიტერატურა და გამოფენები (ყრილობებისთვის), 4) ბიბლიოთეკა და ტელეგრამების.

ყველა დაწესებულებებს და **ორგანიზაციებს** შეუძლიათ მიიღონ განყოფილებაში საჭირო ცნობები, **ორგანიზაციული ხასიათისა.**

განყოფილების განკარგულებაში **არიან** აგრეთვე ყოველ გვარი იურიდიული მასალები (დეკრეტები, ბრძანებები, ინსტრუქციები, ყრილობის დადგენილებები და სხვა).

ცნობების ცენტრალური განყოფილება **წინადადებას** აძლევს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, დაუყოვნებლივ აცნობონ განყოფილებას მათი მისამართები და ტელეფონის **ნომრები.**

ცნობების ცენტრალური განყოფილება **ამ დღეებში ხსნის** ყველა გრუსტას საგიტპუნქტებთან ცნობების განყოფილებებს მცხოვრებთათვის.

---

# საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ყველა ორგანიზაციებს.

ამხანაგებო! ამ დღეებში განახლდა „ფურცელი“-ს გამოცემა. განზრახულია აგრეთვე საკუთარი გაზეთის და ჟურნალის გამოცემა. საჭიროა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა **და მოწინავე** ამხანაგებმა გაგვიწიონ ამ საქმეში ფართე დახმარება. ყოველგვარი ცნობები ახალგ. მუშათა მდგომარეობის, ორგანიზაციების **მუშაობის,** მისი უარყოფითი და დადებითი მხარეების შესახებ და **აგრეთვე საზოგადო** ხასიათის წერილები გამოგზავნილ უნდა იქნას „ფურცლის“ რედაქციაში. რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ., **№ 22,** მესამე სართული.

**სარედაქციო კოლეგია.**

---

ზაბათს, 16 აპრილს, ს ღამოს 5 საათზე სოც. რევ. პარტიულ ბიუროში (კალოუბნის ქ. № 16). დანიშნულია საქ. სოც. რევ. პარტიის თფილისის ორგანიზაციის წევრთა

# საერთო კრება

დღის წესრიგი: მიმდინარე მომენტი მოხსენებას გააკეთებენ ამხ. **ლეო შენგელაია, ილია ნუცუბიძე, ეხ. გობეჩია.**

კრებაზე დასწრება შეუძლიათ მხოლოთ პარტიის წევრებს.

საქ. სოც. რევ. თბილისის კომიტეტი.

---

# დაჭრილ-დ. სახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

ამა წლის 23 აპრილს ნაშუადღევის 3 საათისათვის კავშირის ბინაზე (პლეხანოვის პროსპ. № 139) იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) ძველი გამგეობის მოხსენება.
2) დროებითი გამგეობის მოხსენება.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) კავშირის რეორგანიზაციის შესახებ.
5) წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა.
6) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
7) საკითხი დაჭრილ-დასახიჩრებულთა მზრუნველობის შესახებ.
8) მიმდინარე საკითხები.

პროვინციიდან ჩამოსულთ მიეცემა ბინა, სადილი და უკან დასაბრუნებელი გზის ფული. დასწრება კავშირის ყველა წევრისთვის სავალდებულოა.

**კავშირის გამგეობა.**

---

# ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში“ **დასაბეჭდი განცხადებები** და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; **სხვა ენაზე დაწერილი** მასალა არ მიიღება